პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით.

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მ. ტრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენ. ქ. № 4. მე-3 სართული

რედაქციაში ხელნაწერების მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქციის 14—76, მდივნის 10—58

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 4—48

განცხადების ფასი: ლეიში 450.000 მ. განცხადება 100.000 მ.

ნეკროლოგი: სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 2.500,000 მ.

№ 88 პარასკევი, 20 აპრილი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 20,000 მან. № 88

დღიური

რუსეთის კომუნისტურ პარტიის მეთორმეტე ყრილობაზე მოსმენილ იქნა ამ. სტალინის მოხსენება ცეკას საორგანიზაციო ანგარიშის შესახებ.

სტამბოლიდან ლოზანის კონფერენციაზე გაემგზავრა ოსმალეთის დელეგაცია 35 კაცის შემადგენლობით.

სტამბოლში ფრანგმა გენერალმა პელლემ განაცხადა, რომ მოსალოდნელია ოსმალეთს და საფრანგეთს შორის მოხდეს დიდი კონფლიქტი ჩესტერის კონცესიის გამო.

ჩინეთში დაიწყო სამოქალაქო ომი.

რუმინიაში გრძელდება რევოლიუციონერების დატუსაღება.

ყველა საგუბერნიო და საოლქო კომიტეტებს.

ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლევა მოეწყოს 1 მაისს ფართო დემონსტრაციები შემდეგი ლოზუნგებით: საბჭოთა რესპუბლიკების მუშათა კლასის კავშირის განმტკიცება კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატთა კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ და საბჭოთა რესპუბლიკების მუშათა კლასის და გლეხობის კავშირის გაძლიერება.

პირველი მაისის წინ საჭიროა პრესის, კრებების, კლუბების, წრეების საშუალებით პარტიის წევრები და უპარტიო მუშები და გლეხები გაეცნონ დასავლეთ-ევროპის მუშათა კლასის მოძრაობას, განმათავისუფლებელ ბრძოლას ახალშენებში; ამავე დროს დაწვრილებით გამუქებული უნდა იქნეს ბურჟუაზიის შემოტევის ფაქტები, როგორც თეთრგვარდიელთა დიქტატურის (ფაშიზმი), ისე ოკუპაციის (რური) და საბჭოთა რესპუბლიკებისათვის ომის საფრთხის (პოლონეთის არმიის მობილიზაცია და სხვ.) მხრივ.

ამავე დროს, რაც შეიძლება ფართოდ უნდა იქნეს გავრცელებული პარტიის დადგენილებები, რომლებიც მიმართული არიან გლეხის სამეურნეო მდგომარეობის (სათესლე სესხი, სასოფლო-სამეურნეო კრედიტი) საგადასახადო სისტემის მოწესრიგებების (გადასახადების სიმრავლის მოსპობა) და სახელმწიფო მრეწველობის და მთელი სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისაკენ.

პრაქტიკულად კავშირის განმტკიცება უნდა გატარდეს ქალაქის სოფელზე კულტურული შეფობის ორგანიზაციის გადასინჯვით ისე, რომ კულტურულმა შეფობამ მიიღოს მასიური ხასიათი. ამავე მიზნით, 1 მაისს უნდა მოეწყოს დელეგაციების მასიური გადაცვლა; მუშების და წითელ-არმიელების წარმომადგენლები უნდა იგზავნებოდენ სოფელში გამართულ დღესასწაულებზე და ამავე დროს მიღებული უნდა იქნენ გლეხების წარმომადგენლები სამაზრო და საგუბერნიო ქალაქებში.

რ. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის მდივანი: ი. სტალინი.

პირველი მაისისათვის

მოგვიახლოვდა მუშათა საერთაშორისო ტრადიციული დღესასწაული—პირველი მაისი.

უკვე რამოდენიმე წელიწადია, რაც სხვადასხვა პირობებში უხდებათ ამ დღესასწაულის ჩატარება ერთი მხრივ საბჭოთა ფედერაციის მშრომელთ, მეორე მხრივ—კაპიტალიზმის სამეფოების პროლეტარიატს.

საბჭოთა რესპუბლიკებში მთელი ძალა-უფლება ხელთ უპყრია მუშათა კლასს და ის დღითი-დღე უფრო ამტკიცებს თავის ბატონობას, ეწევა უდიდეს შემოქმედებითი მუშაობას ცხოვრების მოსაწყობად სრულიად ახალ საფუძვლებზე, რასაც შედეგად უნდა მოყვეს და მოყვება კიდეც კომუნიზმის განხორციელება. ჩვენს მუშათა კლასს უკვე გატარებული აქვს სინამდვილეში ბევრი ისეთი ლოზუნგები, რომლებისათვის დღესაც აქტიურად იბრძვის დანარჩენ მსოფლიოს პროლეტარიატი. ამ უკანასკნელს ჯერ კიდევ ვერ მოუხერხებია ბურჟუაზიის უღლის დამსხვრევა და ის განიცდის კაპიტალის სასტიკ შემოტევას.

ეს ორი გარემოება: ფაქტი გამარჯვებულ მუშათა კლასის არსებობისა საბჭოთა ფედერაციის ტერიტორიაზე, ხოლო დედამიწის დანარჩენ ნაწილში პროლეტარიატის ყოფნა ბურჟუაზიის მონობაში,—უდიდეს გავლენას ახდენს ორივე მხარის მშრომელთა მდგომარეობაზე.

ჩვენ ვსულდგმულობთ მსოფლიო რევოლიუციის იმედით. ვიცით, რომ თუ დასავლეთის პროლეტარიატმა დროზე არ იგდო ხელთ ძალა-უფლება, თუ მან დროზე არ გამოგვიწოდა დახმარების ხელი, ჩვენ მარტონი ვერ გავძლებთ, ვერ ავიტანთ მსოფლიო კაპიტალის გარემოცვას და იერიშებს. მსოფლიო რევოლიუციის მოლოდინში ჩვენ ვამაგრებთ პოზიციებს საკუთარ ქვეყანაში, ვცდილობთ მანამდე შევინარჩუნოთ ძალა-უფლება და განვამტკიცოთ იგი ყოველ მხრივ.

მეორე მხრივ ცხადია ისიც, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი საბჭოთა ხელისუფლებას ევროპის და მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის რევოლიუციონურ მოძრაობისათვის. ეს ბორკავს შეტევაზე გადმოსულ ბურჟუაზიას, ზურგს უმაგრებს იქაურ მუშათა კლასს და ჰმატებს ბრძოლის ხალისს და ენერგიას. ამიტომ განმტკიცება საბჭოთა ხელისუფლებისა ჩვენში,—ეს ერთ-ერთი [illegible] და პირობა მსოფლიოს მუშათა კლასის გამარჯვების.

მხოლოდ საერთო ძალღონით, საბჭოთა რესპუბლიკების და კაპიტალისტურ ქვეყნების მშრომელთა ურთიერთი დახმარებით შესაძლებელია მუშათა კლასის საერთო იდეალის—შრომის სუფევის დამყარება.

პირველი მაისი მუშათა საერთაშორისო სოლიდარობის დემონსტრაციის დღეა საზოგადოდ.

ამ პროლეტარული სოლიდარობის გამოაშკარავება არა მარტო სიტყვით, არამედ უმთავრესად საქმით დღევანდელი მომენტის კატეგორიული მოთხოვნილებაა, მომენტის, როცა მსოფლიო ბურჟუაზიის შემოტევა უკიდურეს ფორმებში იხატება, როცა ის ახალ ომებს და უბედურებას უქადის კაცობრიობას.

წლევანდელ პირველ მაისმა უნდა მოგვცეს მსოფლიო პროლეტარიატის სოლიდარობის მრისხანე დემონსტრაცია. ამ დღეს საბჭოთა რესპუბლიკების მუშათა კლასი მიესალმება კაპიტალიზმის ტყვეობაში მყოფ ძმებს, გაამხნევებს მათ და მოუწოდებს გადაჭრილი ბრძოლისაკენ და მისცემს სიტყვას, რომ ის ყველა მის განკარგულებაში არსებულ საშუალებებით დაეხმარება მას ბურჟუაზიის უღლიდან განთავისუფლების საქმეში.

მეორე მხრივ, ბურჟუაზიულ ქვეყნების პროლეტარიატსაც კარგად ესმის საბჭოთა ფედერაციის მშრომელთა მდგომარეობა, მათთვის დახმარების საჭიროება, და ამ დღეს, პირველ მაისს, ის გამოვა ქუჩებში ჩვენი გამარჯვებული პროლეტარიატის დაცვის, მასთან ერთად საერთოდ საქმისათვის ბრძოლის ლოზუნგით.

ამნაირად, მომავალი პირველ მაისის ერთ უმთავრეს ლოზუნგად უნდა იყოს მუშათა საერთაშორისო სოლიდარობის განმტკიცება, ჩვენი რესპუბლიკების მუშათა კლასის დაახლოვება კაპიტალისტურ მსოფლიოს პროლეტარიატთან.

ამას გარდა ჩვენ გვაქვს მრავალი ადგილობრივი ხასიათის საჭიროროტო საკითხებია, რომლებზედაც მომავალ დღესასწაულზედაც უნდა იქნას შეჩერებული განსაკუთრებული ყურადღება. ერთი ასეთი საჭიროროტო საკითხი გლეხობასთან მუშათა კლასის კავშირის შემდეგი განმტკიცება. საბჭოთა რევოლიუცია, საბჭოთა წყობილება ემყარება ორ სოციალურ ძალას—პროლეტარიატს და მშრომელ გლეხობას, რომელიც შეადგენს მოსახლეობის დიდ უმრავლესობას. ზრუნვა გლეხობაზე, მისი აქტიური ჩაბმა ცხოვრების აღმშენებლობაში, ხელის შეწყობა გლეხური მეურნეობის აყვავებისათვის, გლეხობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მისი კულტურული დონის ამაღლება, მისი ეკონომიური და იდეური კავშირის გაღრმავება სამრეწველო პროლეტარიატთან,—ისევ დგას დღის წესრიგში.

ჩვენ მხოლოდ მაშინ გავიმარჯვებთ, თუ გლეხობის მასსა განუყრელად იქნება მუშათა კლასთან და მისი უბადლო ხელმძღვანელობის ქვეშ. ამისათვის საჭიროა არა მარტო იდეური კამპანიების წარმოება, არამედ უმეტესად პრაქტიკული, რეალური ზომების მიღება გლეხობის ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

მომავალ დღესასწაულზე საკითხის ამ მხარეს უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

მრავალი სხვა საკითხებია კიდევ, რომელნიც გახდებიან სჯა-ბაასის საგნად და რომელთა ფრთხილი და საჩქარო გადაჭრა აუცილებელია მუშურ-გლეხურ რეჟიმის გამაგრებისათვის.

ამხანაგები ამ თავითვე უნდა შეუდგნენ მზადებას დღესასწაულის სათანადოთ ჩატარებისათვის. მას უნდა მიეცეს არა მარტო საზეიმო, არამედ უმთავრესად საქმიანი ხასიათი. ეს კი მოითხოვს დიდ წინასწარ მუშაობას, რომლისაკენ ჩვენ მოუწოდებთ ადგილობრივ ორგანიზაციებს და ამხანაგებს.

ბურჟუაზიული დიპლომატიის თვალთმაქცობა

საკითხს რუსეთის საბჭოების იურიდიულათ ცნობის შესახებ არა ერთხელ „შეუწუხებია“ ევროპის დიპლომატია და მას ყოველთვის „მშვიდობიანათ“ დაუძვრენია თავი ამ საკითხის დადებითად გადაჭრისაგან. მაგრამ მიმდინარე ცხოვრება, გამოიხატება ის თვით ბურჟუაზიული სახელმწიფოების ეგოისტურ მისწრაფებებში თუ მათგან დამოუკიდებელ მოვლენებში, ყოველ ნაბიჯზე უყენებს მათ იმავე საკითხს. სულაც რომ არაფერი ვთქვათ ამ სახელმწიფოების სავაჭრო-სამრეწველო და საერთოთ ეგრედ წოდებულ „საქმიან“ წრეებზე, თვით მორიგი „საქმენი საგმირონი“ ამ დიპლომატიისა იძულებულს ხდის ბურჟუაზიის სახელმწიფო მოღვაწეებს და აძლევს მათ ახალ-ახალ შემთხვევებს კიდევ და კიდევ გამოარკვიონ თავიანთი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. თვალთმაქცობა თავიდან ბოლომდე—ამით ხასიათდება ასეთ მომენტებში მთელი მათი საქციელი. ერთ ასეთ მაგალითს გვაძლევს ჩვენ ანტანტის სახელმწიფოების ელჩების თათბირი, რომელიც ამას წინათ შეიკრიბა პარიზში.

როგორც თავის დროზე დეპეშები გადმოგვცემდენ, ელჩების თათბირმა **დაამტკიცა** პოლონეთის დღევანდელი საზღვრები. ეს შრომა თავს იდვეს მათ, თანახმად ვერსალის ხელშეკრულების ერთი მუხლისა, რომელიც ავალებს ანტანტის სახელმწიფოებს გარკვეული საზღვრები მისცენ პოლონეთს, რამდენადაც აქის საშუალება არ ექნებოდა ვერსალის „საზავო“ კონგრესს. მაგრამ ვინაიდან ეს საზღვრები ახლა კი არ იყო აღმოსაჩენი, არამედ უკვე წინდაწინვე იყო გარკვეული რუსეთ პოლონეთის ომის შემდეგათ, რიგის საზავო ხელშეკრულების თანახმათ (18 მარტი 1921 წ.), ამიტომ ელჩთა თათბირს არარაფერი დარჩენოდა გარდა იმ სა, რომ მხოლოთ დაედასტურებია ისინი.

მაგრამ უცებ თავი წამოჰყო ერთმა გარემოებამ, რომლისთვისაც ანგარიში უნდა გაეწია დიპლომატებს.

საქმე იმაშია, რომ ელჩების თათბირის შედეგები უნდა აღნუსხული ყოფილიყო სათანადო ოქმებში სათანადოვე ხელმოწერით ბურჟუაზიული სახელმწიფოების ამ „კანონიერ“ წარმომადგენლების მიერ. ხოლო როგორ შეიძლებოდა, რომ ოფიციალურ დოკუმენტში მოხსენებული ყოფილიყო რუსეთის **საბჭოთა მთავრობა** ან უბრალოთ რუსეთის **მთავრობა**. ხოლო ასეთი მოხსენება საჭირო იყო, ვინაიდან ლაპარაკია იმ საზღვრების ცნობაზე, რომლებიც დააწესეს: ერთი მხრით—პოლონეთის მთავრობამ, რომელიც ვასალია ანტანტის და მეორე მხრით კი—რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებამ. ვინაიდან ბურჟუაზიული დიპლომატიის ადათით **საბჭოთა მთავრობის** მოხსენება ოფიციალურ დოკუმენტში თითქმის თანაბარი იქნებოდა ამ მთავრობის **იურიდიულათ** ცნობისა ბ. ბ. ელჩებმა ნახეს თითქო გამოსავალი, საკმაოთ თვალთმაქცური, რომელიც სასაცილოთ არ ყოფნის დღეს თვით ოფიციოზურ პრესას ანტანტის ქვეყნებისას.

როგორც ეს გაზეთები გადმოგვცემენ რუსეთის **მთავრობის** არ დასახელების სურვილს, დიდი კვლევა-რჩევის შემდეგ, მიუყვანია ეს საბრალო კაცუნები ასეთ ფორმულამდი: „ვიღებთ რა მხედველობაში, რომ რაც შეეხება მის საზღვრებს რუსეთთან, პოლონეთი თვით შეუთანხმდა უშუალოთ ამ **სახელმწიფოს**... და სხვა“. ამნაირათ რუსეთის **მთავრობის** მაგიერ რუსეთის სახელმწიფო! ჩვენ უბრალო მომაკვდავებისათვის გარკვეული აზრის გადასაცემათ ამ ორ სიტყვის შორის დიდი განსხვავება არ იქნებოდა, მაგრამ სხვაა ეს ცნებანი გაიძვერა, გამოქნილ დიპლომატების თავში, სხვა გვარათ უყურებს მათი ოფიციალური ადათი. და ეს ადათი მიდის ისეთ აბსურდამდე, რომ მათ შესახებ თავს ვერ იკავებენ თვით ბურჟუაზიული „საზოგადოებრივი აზრის“ ხელმძღვანელებიც. აი რასა სწერს ამის გამო გაზეთი „ტანი“ თავის მეთაურში „პოლონეთის საზღვრების“ შესახებ.

„როდესაც „მთავრობის“ მაგიერ სწერენ „სახელმწიფოს“, ნუ თუ ამით ფიქრობენ, რომ ამით ცვლიან საქმის შინარსს? როგორ შეიძლება საქმე იქონიო ამა თუ იმ სახელმწიფოსთან და დააწესო მასთან საზღვრები თუ მისი მთავრობა, რომელთანაც მოლაპარაკება სწარმოებდა, [illegible] არ წარმოადგენს ამ სახელმწიფოს? ვისთან შეიძლება შეთანხმება ამა თუ იმ ადგილის გამიჯნისათვის თუ არა მის კანონიერ მესაკუთრესთან?

ამნაირათ ამ გადაწყვეტილებაში არის წინააღმდეგობა: პოლონეთმა იცნო საბჭოები და მასთან შეთანხმებით დააწესა რუსეთ-პოლონეთის საზღვრები. ხოლო ანტანტა კი, მოისურვა რა მან ამ საზღვრების დადასტურება, არ სცნობს რუსეთს. ცნობა მაგრამ არ ცნობა“...

„ცნობა მაგრამ არ ცნობა“, ეს სიტყვები სრულიათ გამოხატავს იმ ორპირ პოზიციას, რომელიც უკავია ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს რუსეთის საკითხში. მაგრამ ასეთი წინააღმდეგობით და ოლრო-ჩოლრო სიარული დიდხანს შეუძლებელია. ინტერესები ეკონომიური ურთიერთობის რუსეთთან, რაც ბოლოს და ბოლოს გადამწყვეტია როგორც სხვა, ისე ამ საქმეშიც, თავისას გაიტანს და ძალაუნებურათ მოახვევს თავზე ამ ქვეყნების დღევანდელ მესვეურთ ერთ გარკვეულ გადაწყვეტილებას. და ეს გადაწყვეტილება იქნება არა მარტო ფაქტიური ცნობა რუსეთის (რაც ეხლაც არის), არამედ იურიდიულიც. ამის ნიშნები უკვე არის მთელ რიგ ქვეყნებში.

X.

რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-XII ყრილობა

საღამოს სხდომა.

მოსკოვი. 18 აპრილი ყრილობის საღამოს სხდომაზე 17 აპრილს მოსმენილი იქნა ც. კ. საორგანიზაციო ანგარიში, რომელიც გააკეთა ამხ. სტალინმა და სარევიზიო კომისიის მოხსენება. ყრილობას თავმჯდომარეობს ამხ. კამენევი. სხდომის დასასრულს მოსმენილ იქნა კომინტერნის სხვა და სხვა სექციების მისალმებანი.

ცეკას საორგანიზაციო ანგარიში

(სტალინის მოხსენება).

სტალინის მოხსენება შესდგება სამი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში ლაპარაკია მუშათა კლასსა და პარტიას შორის ორგანიზაციულ კავშირზე, ე. ი. იმ მასიურ ორგანიზაციების შესახებ, რომელთა საშვალებით პარტია ხელმძღვანელობს მუშათა კლასს. მეორე ნაწილი შეეხება გლეხობასა და მუშათა კლასის ორგანიზაციულ კავშირ და ამ კავშირის საშვალებებზე. მესამე ნაწილი ეხება თვით პარტიას, როგორც ორგანიზმს, რომელიც აყენებს ლოზუნგებს და ამოწმებს მათ ცხოვრებაში გატარებას.

მუშებთან კავშირი მტკიცეა.

პირველი ძირითადი აპარატი, ამბობს ამხ. სტალინი, არის ის აპარატი, რომელიც პარტიას მუშათა კლასთან აკავშირებს. ეს აპარატი არის პროფკავშირი. საანგარიშო წლის განმავლობაში პარტიამ გაამაგრა და განამტკიცა კავშირების ხელმძღვანელი ორგანოები. წარსული ყრილობის დროს კავშირებში ითვლებოდა 6 მილიონი წევრი, ამ წელს კი—4.800 000 ეს თუმცა შარშანდელთან შედარებით ნაკლები ციფრია, მაგრამ უფრო რეალურია, პარტიის გავლენა პროფკავშირებში საგრძნობათ გაიზარდა. ეს ფრონტი შეიძლება უზრუნველყოფილათ ჩაითვალოს.

კოოპერაცია და ჩვენ.

მეორე საშვალება, რომელიც პარტიას მუშათა კლასთან აკავშირებს არის კოოპერაცია. აქაც უნდა აღინიშნოს, რომ პარტიის გავლენა როგორც საგუბერნიო ის პირველ საფეხურის კოოპერატივებში საგრძნობათ დიდია.

ჩვენი სახელმწიფო აპარატი უნდა გამარტივდეს და გაუმჯობესდეს.

შემდეგ ამხ. სტალინი ეხება რა სახელმწიფო აპარატს, როგორც საორგანიზაციო საშვალებას მუშათა კლასსა და გლეხობას შორის კავშირის გასაბმელათ, აკეთებს დასკვნას, რომ ჩვენი სახელმწიფო აპარატი უნდა გამარტივდეს და გაუმჯობესდეს. საჭიროა მისი გაძლიერება და მისი მორალური ავტორიტეტის ამაღლება გლეხების ფართე მასებში. ჯერ კიდევ წარსულ წელში ამხ. ლენინი ამ საკითხის შესახებ მიუთითებდა ჩვენი პარტიის ორ ძირითად ამოცანაზე—იმ დავალებების შესრულების შემოწმება, რომელსაც პარტია აძლევს სახელმწიფო აპარატს და მუშაკების გამოძებნას.

„ათასის“ მობილიზაცია.

წარსულ წელში „ათასის“ მობილიზაცია ჩაიშალა, რადგან მობილიზაციით გაწვეულ 700 კაციდან მუშაობისათვის გამოსადეგი აღმოჩნდა მხოლოდ სამასი. ჯერჯერობით საალმრიცხველო-განმანაწილებელი განყოფილების მუშაობა ისაზღრება ამხანაგების აღრიცხვით და განაწილებით სამაზრო, საოლქო და საგუბერნიო კომიტეტებში. ახლა, როცა დღევანდელ პირობებში მასიური მობილიზაციები შეუძლებელია, როცა მუშაობა გაღრმავდა, ასეთი უთავბოლო მობილიზაციები მხოლოდ აფუჭებენ საქმეს

აღმრიცხველი აპარატი.

ამ ჟამად ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა გააფართოოს საალმრიცხველო-გამნაწილებელი აპარატი როგორც ცენტრში ისე ადგილებში, რათა პარტიას საშუალება მიეცეს აღრიცხოს ჩვენი უფშემადგენლობა ტრესტებში და სამეურნეო ორგანოებში. ჯერჯერობით მოხერხდა ჩვენი მრეწველობის უფშემადგენლობის აღრიცხვა. გამოირკვა, რომ საერთო შემადგენლობიდან კომუნისტების 29 პროცენტი განაგებს ყველაზე დიდ სამრეწველოებს, რომლებიც თავს უყრიან 800 000 მეტ მუშას. 71 პროც. უპარტიო დირექტორები განაგებენ წვრილ წარმოებებს, რომლებიც აკავშირებენ 250.000 მეტ მუშას. გამოცდილება გვკარნახებს, რომ საალმრიცხველო-განმანაწილებელი აპარატის მუშაობა გაფართოებული უნდა იქნეს, რათა პარტიამ შესძლოს წარმოების შევსება კომუნისტებით, რომ ამით განახორციელოს თავისი ხელმძღვანელობა სახელმწიფო აპარატზე.

ჩვენი პარტია რჩება მტკიცე და შეკავშირებული.

გადადის რა თავისი მოხსენების მესამე ნაწილზე, ამხ. სტალინი მიუთითებს მთელ რიგ ზომებზე, რომლის საშუალებითაც უნდა გადიდდეს კვალიფიციურ პარტიულ მუშაკების კადრი, ერთ უმთავრეს ამოცანას, ამბობს ამხ. სტალინი, შეადგენს ცენტრალურ კომიტეტთან სამაზრო კომიტეტებისათვის მდივნების მომზადება. ამ შკოლაში უნდა ისწავლონ ყველაზე ნიჭიერმა და თავდადებულმა ამხანაგებმა მუშებისა და გლეხების წრიდან. მომხსენებელი იცავს ცენტრალური კომიტეტის უფშემადგენლობის გაფართოებას. საჭიროა მოადგილეების მომზადება. ამიტომ საჭიროა ც. კ. მუშაობაში ნიჭიერი ამხანაგების ჩათრევა, რომ მათგან მუშაობის პროცესში მომზადდენ მომავალი ხელმძღვანელები.

ათავებს რა თავის მოხსენებას ამხანაგი სტალინი ამბობს—„ჩვენი მტრების ბანაკი იხრწნება, ჩვენი პარტია კი დარჩა შეკავშირებული, მტკიცე და ფართედ გაშლილი დროშით მიდის წინ“.

რადიო-დეპეშები

რურის ოლქის ოკუპაცია

ეშინიათ ავტორიტეტის დაკარგვის.

ბერლინი, 19 აპრილი, გერმანიის მთავრობის კომისარმა დაკავებულ რეინის ოლქში ფონ-გარცფელდმა მიიღო რეინლანდის უმაღლეს კომისიისაგან წინადადება დასტოვოს თავისი თანამდებობა. კომისია ასაბუთებს ამ წინადადებას იმით, რომ გარცფელდის რეინლანდში დარჩენა შეარყევს რეინლანდის კომისიის ავტორიტეტს. გარცფელდმა პროტესტი განაცხადა კომისიის ამ დადგენილების გამო და აღნიშნა, რომ მისი დანიშვნა დადასტურებულ იქნა ელჩთა კონფერენციის კომისრის მიერ. პროტესტი განაცხადა აგრეთვე გერმანიის მთავრობამაც.

გაბედულ მოქმედებისაკენ.

ბერლინი, 19 აპრილი, გაზეთ „ეკო დე პარის“ ცნობით, პუანკარეს და ტენისის შორის გამართულ თათბირზე ბრიუსელში გადასწყდა გადავიდენ გაბედულ მოქმედებაზე გერმანელების მიმართ რურში. ამ გადაწყვეტილების შესრულებას აფერხებდა ის, რომ საფრანგეთი სცდილობდა მიეღო ბრიტანეთის მთავრობის თანხმობა.

რა უჯდება ოკუპაცია ინგლისს.

ბერლინი. 19 აპრილი. შეკითხვაზე ინგლისის მთავრობამ თემთა პალატაში განაცხადა, რომ ბრიტანეთის საოკუპაციო ჯარების შენახვა გერმანიაში მთავრობას უჯდება ყოველ კვირეულად 34 000 გირ. სტერლ. ეს ხარჯები ხმარდება მხოლოდ ჯარების დაბინავებას.

წავიდენ ქარხნიდან.

ბერლინი. 19 აპრილი. ბენცის საავტომობილო ქარხანა მანჰეიმში, რომელიც დაკავებული იყო ფრანგების მიერ 31 მარტს, დასცალეს 18 აპრილს.

ახალი „სანქციები“

პარიზი. 19 აპრილი. საოკუპაციო ხელისუფლებამ დააწესა ახალი „სანქცია“, რომლის თანახმად რონხეიდში მცხოვრები—გერმანელი მოხამსახურეები უნდა გადასახლდენ რურის საზღვრებიდან, აკრძალულია აგრეთვე მოძრაობა 20 საათის შემდეგ აახენსა და საზღვარს შორის. მზადდება აგრეთვე ახალი ბრძანება, რომელიც გააძლიერებს კონტროლს საერთოთ მოძრაობაზე.

გაზ. „პტი პარიზიენი“ როზენბერგის სიტყვის შესახებ.

პარიზი. 19 აპრილი. უკეთებს რა კომენტარიებს გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრის როზენბერგის სიტყვას, გაზ. „პტი პარიზიენს“ გამოჰყავს შემდეგი საინტერესო დასკვნა. „ამ პროვოკაციულ სიტყვის წაკითხვის შემდეგ, ყოველი მშვიდობიანი ფრანგი იფიქრებს: „მართლადაც, თავის დროზე დავიკავეთ რურის ოლქიო“.

უმუშევართა მღელვარება.

ლონდონი. 19 აპრილი. რურში მოხდა სერიოზული მღელვარება უმუშევართა შორის. მიულჰაიმში შეიკრიბა უმუშევართა მრავალრიცხოვანი გრბო, რომელიც მოითხოვდა მთავრობის დახმარების გადიდებას; მოხდა შეტაკება პოლიციასთან, რასაც შედეგად მოჰყვა ერთი უმუშევრის მოკვლა და მრავალის დაჭრა. უმუშევართა მღელვარების შესახებ იტყობინებიან აგრეთვე დიუისბურგიდან და დორტმუნდიდან.

ოკუპაციის გარშემო

პატენტების გაუქმება.

ბერლინი 19 აპრილი. საფრანგეთის მთავრობის კომისიამ 17 აპრილის სხდომაზე დაადგინა, ვერსალის ხელშეკრულების თანახმად, გააუქმოს ხელშეკრულება საფრანგეთის კონცესიონერებს და გერმანიის პატენტების მესაკუთრეებს შორის. გაზეთ „მატენი“ ამის შესახებ გადმოგვცემს, რომ კომისიამ პირველ ყოვლისა გააბათილა პატენტი, რომელიც მიეცა გერმანელ ეისნერს, რომელსაც ძლიერ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რადიო-ელექტროტეხნიკისათვის

ვალდებულების გამოსყიდვა.

ბერლინი 19 აპრილი. ბელგიის ტელეგრაფის სააგენტო იტყობინება, რომ გერმანიამ გამოისყიდა გერმანიის ვალდებულებათა მესამე სერია, რომელიც გადაცემული ჰქონდა ბელგიის მთავრობას ჯერ კიდევ 1921 წლის ოქტომბერში, საკონტრიბუციო გადასახადების უზრუნველსაყოფად.

საოკუპაციო ჯარების გადიდება.

პარიზი. 19 აპრილი. საფრანგეთის სამხედრო მინისტრმა მაჟინომ და ბელგიის სამხედრო მინისტრმა გადასწყვიტეს გადიდონ ჯარების რიცხვი დაკავებულ ოლქებში.

ახლო აღმოსავლეთი

სასოფლო-სამეურნეო აღწერა.

ანგორა. 18 აპრ. ოქტომბერში გაიხსნება ანატოლიის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის გამოფენა. გამოფენაში მონაწილეობას მიიღებენ უცხოეთის ფირმები და მრეწველობა.

გენ. პელლეს განცხადება.

ანგორა. 19 აპრ. სტამბოლში ფრანგმა გენერალმა პელლემ განაცხადა, რომ საფრანგეთ-ოსმალეთის შორის აუცილებელია სერიოზული კონფლიქტი ჩესტერის კონცესიის გამო.

ისმეტ-ფაშას განცხადება.

პარიზი. 18 აპრილი. ისმეტ-ფაშამ სტამბოლში განაცხადა, რომ ის ლოზანაში მიემგზავრება სურვილით დასდვას საპატიო ზავი, რომელიც უზრუნველყოფს ოსმალეთის უფლებებს. ყოველგვარი ცდა ოსმალეთის დასამონებლად სასტიკ წინააღმდეგობას შეხვდება. სტამბოლში ისმეტ-ფაშას თათბირი ქონდა ამერიკის ადმირალ ბრისტოლთან.

ოსმალეთის დელეგაციის გამგზავრება.

პარიზი. 18 აპრ. ოსმალეთის დელეგაცია ისმეტ ფაშას მეთაურობით სტამბოლიდან ლოზანას გაემგზავრა, დელეგაციაში შედის 35 თანამშრომელი.

იტალიის გარშემო

მოლაპარაკება.

რომი. 18 აპრილი. რომში ჩავიდენ სამხრეთ-სლავეთის დელეგატები. ადრიატიკისა და ფიუმეს შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებს პარიტეტული კომისია

იტალია-ავსტრიის სავაჭრო შეთანხმება,

რომი. 18 აპრილი. ნაციათა ლიგის კომისარი ავსტრიაში ციმმერმანი ჩავიდა რომში, სადაც მას თათბირი ქონდა ფინანსთა მინისტრ დე-სტეფანისთან.

ახალი პარტია.

რომი. 18 აპრილი. რომის დღევანდელ გაზეთებში მოთავსებულია ახალი ნაციონალურ-ხალხოსნური პარტიის პროგრამა. ეს პარტია მოეწყო კათოლიკურ პარტიაში მომხდარ განხეთქილების შემდეგ.

სამოქალაქო ომი ჩინეთში

შეტაკება.

ბერლინი. 18 აპრილი. რეიტერის სააგენტოს ცნობით კუანგ-სის და იუ-ენის ჯარებს შორის კანტონში შეტაკება მოხდა. პირველი პეკინის მთავრობას უჭერს მხარს, მეორე კი—სუნ-იატსენს. შეტაკებამ ომის ხასიათი მიიღო და ახლაც გრძელდება.

ინგლისის მთავრობის მოსალოდნელი გადადგომა.

გაზეთების სენსაცია.

ლონდონი. 16 აპრილი. ლონდონის გაზეთებს კვირის გაზეთებმა დიდი სენსაცია გამოიწვიეს მოთავსებული ცნობით ბონარ ლოუს მოსალოდნელ გადადგომის შესახებ; გადადგომის მიზეზად ასახელებენ ჯანმრთელობის დარღვევას. ბონარ ლოუს მოადგილეთ ასახელებენ ჩემბერლენს და კერზონს.

რევოლიუციონერთა დაპატიმრება.

რუმინიაში.

ვენა. 16 აპრილი. რუმინიაში დაპატიმრებული არიან ერთ დროს რუმინიიდან გამოქცეული რევოლიუციონერები ბაბენსკი და სიჩენკო, რომელნიც ამას წინად დაბრუნდენ სამშობლოში. მათთან ერთად დაპატიმრებული არის 8 კომუნისტი, რომელთაც ვითომდა ხელი შეუწყვიათ მათ გაქცევას.

ეგვიპტეში.

ზაღლულის დაპატიმრება.

ვენა. 16 აპრილი. ალექსანდრიაში დაპატიმრებულია ეგვიპტის კომპარტიის წევრი მახმუდ-გუსეინ-ელ-ითრაბი.

სხვადასხვა ამბები

ამერიკა.

მიწის ძვრა.

ბერლინი. 18 აპრილი. ნიუ-იორკიდან მიღებული ცნობით ეკვადორში (სამხრეთ-ამერიკაშია) ამოქმედდა ცეცხლის მფრქვეველი მთა პანგარაკუა. ქალაქი რიო-ბამბეო და მისი მიდამოები ფერფლმა დაფარა.

ორი მეგობარი.

ბერლინი. 18 აპრილი. ამერიკის პრეზიდენტ ჰარდინგს და ფოლადის ტრესტის თავმჯდომარეს (დამახინჯებულია) ძლიერ აწუხებს მუშა ხელის სიმცირის შესაძლებლობა ამერიკაში გადმოსახლების შეზღუდვის გამო. რადგან ამ სიმცირემ უკვე იჩინა თავი. ამერიკის მთავრობის წრეებში განზრახული აქვთ ახალი კანონპროექტის გამომუშავება.

პოლონეთი.

სეიმის სამხედრო კომისიაში.

ბერლინი, 18 აპრილი პოლონეთის სეიმის სამხედრო კომისიის დადგენილებით სამხედრო სამსახურის ვადა დაწესებულია ერთნახევარი წელიწადი. კომისიამ დაამტკიცა აგრეთვე წინადადება ქალებისათვის 40 წლამდი დამხმარე სამხედრო სამსახურის შესახებ.

სამხრეთ-სლავეთი.

ახალი ცნობები.

ბერლინი, 18 აპრილი პაშიჩის კაბინეტის გადადგომის შემდეგ მეფემ კვლავ დაავალა პაშიჩს ახალი კაბინეტის შედგენა.

ბულგარეთი

კანონი კომუნისტების წინააღმდეგ

ბერლინი. 18 აპრ. ბულგარეთის მთავრობა იმუშავებს კანონს კომუნისტურ მოძრაობაში მონაწილეობის წინააღმდეგ რეპრესიული ზომების მიღების შესახებ.

ირლანდია.

ეძებენ დე-ვალერას.

ბერლინი. 18 აპრილი. ირლანდიის მთავრობის ჯარებმა ალყა შემოარტყეს ტიპპერარის საგრაფოს, სადაც იმედი აქვთ ხელთ ჩაიგდებენ დე-ვალერას, უოტერფორდის საგრაფოში დაატუსაღეს ირლანდიის აჯანყებულთა პირველი და მესამე დივიზიის უფშემადგენლობიდან რამდენიმე პირი.

ავსტრია

სეიპელის ხელახლა არჩევა.

ბერლინი. 18 აპრ. ვენიდან იუწყებიან, რომ ავსტრიის პარლამენტმა ხელახლა აირჩია სეიპელი. სეიპელის კაბინეტს მხარი დაუჭირა 100 დეპუტატმა, წინააღმდეგი იყო 59. სოციალისტებმა სეიპელის წინააღმდეგ მისცეს ხმა.

გერმანია

ვალი იზრდება.

პარიზი. 19 აპრილი. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ გერმანიის მიმდინარე ვალი გაიზარდა 603 მილიარდი მარკით, რაც უდრის 7,200 მილიარდს.

პოლონეთის თავდასხმის მოლოდინში.

პარიზი. 19 აპრილი. ზემო-სილეზიიდან მიღებული ცნობებით, იქაურ წრეებში შიშს გამოსთქვამენ პოლონეთის თავდასხმის მოლოდინის გამო.

ნაციათა ლიგის სესია.

რომი. 18 აპრილი. ჟენევაში გაიხსნა ნაციათა ლიგის საბჭოს სესია. თავმჯდომარეობს ინგლისის წარმომადგენელი ვორდი.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

დახმარება წითელ ჯარს.

კურსკი. 16 აპრილი. კურსკის გუბერნიის გალეჟის მაზრის ვაჭრებმა დაადგინეს ყოველთვიურად გადასცენ წითელი ჯარისათვის 200 ფუთი ხორბალი.

შრომის დაცვა.

როსტოვი დონზე. 16 აპრილი. ღამე მუშაობისათვის შრომის დაცვის განყოფილებამ სამართალში მისცა 30 ფურნის პატრონი.

პროფ-ტეხნიკური სკოლები.

მოსკოვი. 16 აპრილი. ბელორუსიაში ამ ჟამად არსებობს 30 პროფ-ტეხნიკური სკოლა, სადაც სწავლობს 2000 მეტი კაცი. სკოლების ნაწილს ინახავს პროფ კავშირები და სამეურნეო ორგანოები.

მუშაობა ყირგიზელ ქალებს შორის.

ურალსკი. 16 აპრილი. ურალის ქალთა განყოფილება ამ ჟამად დიდ მუშაობას აწარმოებს მუშა-ქალების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩასათრევათ. ეს მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს და კარგ შედეგებს იძლევა. ყირგიზეთის მრავალ მაზრებში ყირგიზელი ქალები შედიან საბჭოებში და მონაწილეობას იღებენ ყრილობებში და კონფერენციებში.

ეპისკოპოზ ანატოლის საქმე.

სამარა 16 აპრილი. სამარაში დამთავრდა გამოძიება მღვდლების ერთი ჯგუფის შესახებ ეპისკოპოზ ანატოლის მეთაურობით. მათ ბრალათ ედებათ კონტრ რევოლიუციონური აგიტაცია და მოქმედება. გამოძიებამ აღმოაჩინა დოკუმენტები, რომლებში ეპისკოპოზ ანატოლის მომხრეები „ცოცხალი ეკლესიის“ მიმდევრებს „გვერდში დანით“ ემუქრებიან.

ლიხავენ ტიხონს.

როსტოვი-დონზე. 16 აპრილი. ნოვოჩერკასკში გაიმართა საეპარქიო ყრილობა, რომელმაც მიიღო რეზოლიუცია ტიხონის გაკიცხვის შესახებ. ყრილობა მოითხოვს ტიხონის სამართალში მიცემას და აღიარებს მას მთავარ დამნაშავეთ ეკლესიის დაცემაში.

რურის მუშებს.

ბუზულუკი. 16 აპრილი. ბუზულუკის მუშები მხურვალედ გამოეხმაურენ რურის მუშების დახმარების შესახებ მოწოდებას. რურის მუშების დახმარების კვირა, რომელსაც 17 აპრილიდან ატარებენ პროფკავშირები კარგათ მიმდინარეობს. მუშები მხურვალე მონაწილეობას იღებენ დახმარების კვირაში.

უკრაინაში

ბავშვთა თავშესაფარის მოწყობა.

ოდესა. 16 აპრ. ბავშვთა დამხმარე ოდესის კომიტეტმა გადასდო 2.500 ფუთი ხორბლეული ოდესის გუბერნიაში 40 ბავშვთა თავშესაფარის მოსაწყობათ.

საჰაერო ფლოტისათვის.

ოდესა. 16 აპრ. ამერიკიდან ჩამოსულმა ემიგრანტების ერთმა ჯგუფმა შესწირა საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ მთელი ვალიუტა, რაც მათ ქონდათ.

კიევის ბაზრობის შედეგები.

კიევი. 17 აპრ. ამ ჟამათ საბოლოოთ გამორკვეულია კიევის საკონტრაქტო ბაზრობის შედეგები. ბაზრობაში მონაწილეობას იღებდენ 284 ფირმა, მათ შორის 63 უცხოეთის და 43 კერძო. უცხოელ ფირმებთა შორის უმრავლესობას წარმოადგენდენ პოლონეთის, გერმანიის და ავსტრიის ფირმები. ბაზრობის ტრიალი შეადგენს 8 მილ. მანეთს ოქროთი, რაც აღემატება ომამდის არსებულ ტრიალს 2 მილიონით. მთელი გაყიდული საქონლის 63 პროც. შეიძინა კოოპერატივებმა და 35—უცხოეთის ფირმებმა ბაზრობაზე მომხდარ მორიგებათა 99 პროც. გაეიდა საბირჟო კომიტეტში. ბაზრობა თავის შედეგების მხრივ არაჩვეულებრივათ გამარჯვებულია.

შემნახველი სალაროები

ხარკოვი. 17 აპრ. შემნახველ სალაროების გახსნა უკრაინაში იძლევა საუცხოო შედეგებს. სალაროებში შემოვიდა 3 ნახ. მილ. მანეთი, აქედან 200 000 მან. გაცემულია. შემოსულ თანხების მხრივ პირველი ადგილი უჭირავს კიევს და შემდეგ ხარკოვის გუბერნიებს.

ახალგაზრ. კომუნ. კავშ. ც. კ. პლენუმი.

ხარკოვი. 17 აპრილი. ახალ. კომ. კავშირის ცენტრ. კომ. უკანასკნელი სხდომაზე დაადგინეს აწარმოონ ენერგიული ბრძოლა მცირე წლოვანთა შორის უმუშევრობასთან და ამ მიზნით მოაწყონ მასიური მასშტაბით საზოგადო და აგრეთვე საყანე სამუშაოები. პლენუმმა გამოიტანა დადგენილება მოახდინონ სრულიად უკრაინის უმუშევარ ახალგაზრდობის შორის გაწმენდა და მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება სოფელში კომ. ახალ. კავშირის მუშაობას. დასასრულს პლენუმმა გამოსთქვა სურვილი საჰაერო ფლოტის შეფობის მიღების შესახებ და ამ მიზნით გამოაცხადა ხელის მოწერა ჰაეროპლან „კომსომოლი უკრაინის“ აშენებაზე.

საჰაერო ფლოტის დამხმარე კამპანია.

ხარკოვი. 17 აპრილი. საჰაერო ფლოტის დამხმარე კამპანია მთელს უკრაინაში მუშათა ფართო მასების დახმარებით მიმდინარეობს დიდი წარჩინებით. შემოწირულებანი დღითი დღე იზრდება. ხარკოვის გუბერნიის საამშენებლო მუშათა კავშირის ყრილობამ გადასწყვიტა ააშენოს ჰაეროპლანი კავშირის სახელზე. უკრაინის კომ. პარ. ცენტრალურ კომიტეტის თანამშრომლები ყველანი ითვლებიან საჰაერო ფლოტის დამხმარე საზოგადოების წევრებათ. პირველი შემოწირულებანი შემოვიდა საბინაო კოოპერატივებიდან. ხარკოვის ქარხნების მუშებმა მთელი ზედმეტი სამუშაო ხელფასი გადასდეს წითელი ავიაციისათვის ხარკოვის გუბერნიის მთელ რიგ სოფლებში, სადაც მიიღეს „კომუნისტის“ ნომერი მოწოდებით, გლეხებმა მოახდინეს საკუთარი ინიციატივით კრებები, სადაც დიდის გაცხოველებით არჩევდნენ საკითხს ავიაციის შესახებ. სოფელ სტეპანოვკაში გლეხებმა დაადგინეს მოკლე ხნის განმავლობაში შეაგროვონ 500 ფ. პური ფლოტის სასარგებლოთ.

შაბათს, 21 აპრილს, საღამოს 5 საათზე.

შესდგება

თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის პლენუმის სხდომა.

დღის წესრიგი:

1) 1923 წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
2) ქალ. თბილისში საბინაო ქირის ახალი ნორმების დამტკიცება.
3) ქალაქის აბანოებში და ტრამვაიზე ნიხრის გადიდება.
4) მიმდინარე კითხვები.

აღმასკომის ყველა წევრებისათვის სხდომაზე დასწრება სავალდებულოა.

კრ. 331—2—1 პრეზიდიუმი.

კომინტერნში

გერმანიის სექციაში

„ბერლინის ოპოზიცია" საქსონიის მთავრობის კრიზისის შესახებ. გერმანიის კომპარტიის ბერლინის საოლქო კომიტეტმა, რომელიც ოპოზიციის ცენტრს წარმოადგენს, მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ის უარყოფს საქსონიის სოციალ-დემოკრატიულ მთავრობისათვის დახმარების გაწევას, რადგან სოციალ-დემოკრატები არ დათანხმდენ ქარხკომების კონგრესის მოწვევაზე. რეზოლიუციის თანახმათ, კომუნისტებს მხოლოთ იმ შემთხვევაში შეუძლიათ შესვლა მთავრობაში, თუ უკანასკნელი პასუხის მგებელი იქნება ქარხკომების კონგრესის წინაშე.

მეორე მხრით საქსონიის კომუნისტურ ორგანიზაციების კომიტეტმა ლანდტაგის კომუნისტურ ფრაქციასთან ერთათ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელიც აღიარებს, რომ ბერლინის ოპოზიციის დადგენილება ეწინააღმდეგება მთლიან ფრონტის ტაქტიკას და ძირს უთხრის მასსების ნდობას კომპარტიისადმი სწორეთ მაშინ, როდესაც მისი გავლენა თვალსაჩინოთ ფართოვდება. შემდეგ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ საქსონიის მთავრობის კრიზისის ლიკვიდაცია, რომელიც დასრულდა სოციალ-დემოკრატიულ მთავრობის შექმნით სოციალ დემოკრატების და ბურჟუაზიის კოალიციის ნაცვლათ, თავის თავათ დიდ მიღწევას წარმოადგენს გერმანიის კომპარტიისათვის. კამპანია ქარხკომების კონგრესისა და მუშათა მთავრობის სასარგებლოთ გადატანილ უნდა იქნეს საქსონიის საზღვრების გარეშე.

„როტე ფანე" ამ უთანხმოების გამო აღნიშნავს, რომ აუცილებლათ საჭიროა შეთანხმების მიღწევა ც. კ-ის მომხრეებს და ბერლინის ოპოზიციის შორის, ვინაიდან ასეთ მდგომარეობას ზიანი მოაქვს პარტიის მუშაობისათვის.

გერმანიის კომპარტიის მიღწევანი. „როტე ფანე"-ს მოჰყავს ცნობები ჰალეს, ბიტერფელდის, ჰამბურგისა და სხვა ქალაქების რაიონებიდან, რომლებშიაც აღნიშნულია თვალსაჩინო ზრდა კომუნისტურ მანდატებისა მსხვილ წარმოების ახლად არჩეულ ქარხკომებში.

საფრანგეთის სექციაში.

კავშირი „ჰიუმანიტე"-სა და არმიის შორის. „ჰიუმანიტე" სისტემატიურ პროპაგანდას აწარმოებს მთავრობის ცდის წინააღმდეგ, რომელიც მიმართულია ზოგიერთ გასაწვევ ჰასაკთა სამსახურის ვადის გაგრძელებაზე, რაიც გამოწვეულია რურის ავანტიურით. ამასთან ერთად გაზეთი სისტემატიურათ აღნიშნავს ჯარისკაცებთან ცუდ მოპყრობის ან კომუნისტებისადმი სიმპატიისათვის უსაფუძვლო დაპატიმრების შემთხვევებს. ეს პროპაგანდა, რასაკვირველია, უგავლენოთ არ რჩება და, როგორც სხვა და სხვა სამხედრო ნაწილებიდან მოსული ცნობები იუწყებიან, „ჰიუმანიტემ" შესძლო ჯარისკაცებთან ცოცხალი კავშირის გაბმა და ამიტომ, უსაფუძვლო არ არის მასში მოთავსებულ ერთ-ერთ წერილის სათაური: „ჰიუმანიტე—ჯარისკაცების გაზეთია".

საფრანგეთის კომპარტიის მუშაობის ქრონიკა. საფრანგეთის კომპარტიის ც. კ.-ის უკანასკნელ სხდომებზე მიღებულია სხვათა შორის, შემდეგი დადგენილებები:

შეკრებილ იქნეს დამატებითი ცნობები დაგომეიას (ჩრდილოეთ გვინეა, აფრიკა) ადგილობრივ მკვიდრებთა ჩაგვრის შესახებ და გატარებულ იქნეს კამპანია ჩაგრულთა სასარგებლოთ.

ყოველგვარ საშუალებით შეეწყოს ხელი ჯარისკაცთა შორის პროტესტის მოძრაობას 21 წლის გაწვეულთა სამსახურში დატოვების წინააღმდეგ.

გაღებული იქნას 5 600 ფრანკი ბელგიის კომპარტიის სასარგებლოთ.

გამოცემულ იქნეს ყოველკვირეული „ჰიუმანიტე"-ს დამატება, მუშა ქალთა ინტერესების დაცვის მიზნით.

როგორც „ჰიუმანიტე" იუწყება, ხელის მოწერა პარტიულ სესხზე წარმატებით ვითარდება. შეკრებილია უკვე 308.850 ფრანკი.

„ჰიუმანიტე"-ს წიგნთ-გამომცემლობა უშვებს ამხ. ტროცკის „1905 წელს" „პარიჟანინი"-ს მიერ თარგმნილს.

განახლდა მარქსისტულ სკოლის კურსი. კურსი გაგრძელდება სამი თვე.

„ჰიუმანიტე" ერთ ერთ წერილში საგაფიცვო მოძრაობის გამოცოცხლების შესახებ აღნიშნავს, რომ შექმნილი ეკონომიური კონიუნქტურა მეტათ ხელსაყრელია პროლეტარიატისთვის, ამიტომ ის სავსებით უნდა იქნეს გამოყენებული მის სასარგებლოთ.

კომუნისტური მოძრაობა ამერიკაში.

„ვორკერს პარტი" და მსოფლიოს ინდუსტრიალური მუშები. ამერიკის მუშათა პარტიამ („ვორკერს პარტი") გამოეხმაურა კომინტერნის აღმ. ს. კომიტეტის მოწოდებას, რომელიც მოითხოვს დახმარების გაწევას ამერიკის კაპიტალისტურ მთავრობის მიერ ციხეებში ჩაყრილ მსოფლიოს ინდუსტრ. მუშათა კავშირის წევრებისათვის. ამერიკის მუშათა პარტია („ვორკერს პარტი") ძმურ დახმარების ხელს უწოდებს ზემო აღნიშნულ კავშირის დაპატიმრებულ წევრებს და მზათ არის შექმნას მთლიანი ფრონტი მსოფლიოს ინდუსტრიალურ მუშათა კავშირის დევნილ წევრებთან ერთად, რომლებიც, როგორც კომუნისტები, ამერიკის ბურჟუაზიის დევნის ობიექტს წარმოადგენენ.

„ვორკერს პარტი"-ს ასეთი მიმართვა სიმპატიას გამოიწვევს მსოფლიოს ინდუსტრ. მუშათა კავშირის უბრალო წევრთა შორის, რომლებიც დაიწყებენ ბრძოლას ამ ორგანიზაციის ძეთაურების წინააღმდეგ კომუნისტებისა და კომინტერნისადმი მათი მტრული განწყობილებისათვის.

მთლიან ფრონტის ტაქტიკა აქაც კეთილ ნაყოფს გამოიღებს, რადგან ინდუსტრიალურ მუშათა კავშირის წევრებს, მიუხედავათ მათი შეცდომებისა წარსულში, აქვთ თავისი დამსახურება და რევოლიუციონური ტრადიციები.

უცხოეთის ცხოვრება

რურის ოკუპაცია და ნახშირის ბაზარი.

რურის ოლქის ოკუპაციით გამოწვეულ ფრიად დამახასიათებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს შეერთებულ შტატებიდან ევროპაში ნახშირის გატანა, ნახშირის შიმშილობის წლებში (1920 და 1921 წლებში) ამერიკამ შეზიდა ევროპაში ნახშირის მნიშვნელოვანი რაოდენობა.

1922 წელში კი ინგლისმა, პირიქით, დაიბრუნა ამერიკული ბაზარიც. ამის გამო ინგლისიდან გატანილ იყო იანვარში 327.260 ტონა ნახშირი შეერთებულ შტატებში. ამ დროიდან დაწყებული ამერიკის ნახშირის ფასები და ფრახტი ევროპაში ძალიან შემცირდა. ამავე დროს ინგლისის ნახშირის ფასები ძალიან გაიზარდა.

ამერიკაში და ინგლისში ნახშირის ფასების ზრდა აიხსნება არა მარტო ევროპის მხრივ მოთხოვნილების გადიდებით, არამედ საკუთარი მრეწველობის გამოცოცხლებით. ამერიკა ხელახლა განიცდის მეურნეობის ძლიერ აღორძინების მომენტს. რკინის და ფოლადის წარმოებამ ძლიან იმატა, და გადააჭარბა 1920 წლის წარმოებას აგრეთვე ეტყობა გამოცოცხლება ინგლისის მეურნეობაში. ნახშირის ამოღება ინგლისში ავიდა მარტის უკანასკნელ კვირაში 5,7 მილ. ტონამდე, მაშინ როდესაც 1913 წელს შეადგენდა მხოლოდ 5,5 მილ. ტონას ყოველ კვირეულად.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა აგრეთვე ჩეხო-სლოვაკიის მრეწველობის მდგომარეობა ჩეხო სლოვაკიაში დიდი ნაკლულოვანებაა ნიდლი მასალისა. დაკვეთათა რაოდენობა კი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

მოთხოვნილება როგორც გერმანიის ისე საფრანგეთის მხრივ უნდა ჩავთვალოთ გარდამავალ მოვლენათ. ორივე ქვეყანაში ძლიერდება შინაური სამრეწველო კრიზისი, რამაც აიძულა ისინი შეემცირებიათ თავის დაკვეთათა რაოდენობა საზღვარ-გარეთ.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

ძირს მილიტარიზმი.

პეკინი. 11 აპრილი. ხალხთა უფლების დაცვის კავშირმა მოაწყო კანტონში დიდი დემონსტრაციები, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს 10 000 კაცმა. დემონსტრაცია ჩატარდა შემდეგი ლოზუნგების ქვეშ: „ძირს მილიტარიზმი, გაუმარჯოს რევოლიუციონურ არმიის მოწყობას პეკინის წინააღმდეგ".

ბრძოლის განწყობილება იზრდება

ვენა, 14 აპრილი, ავსტრიის სამთომადნო მუშების გაფიცვა შტირიაში გამწვავდა, მწარმოებელთა პროვოკაციულ მოქმედების გამო, რომელთაც გაფიცულთა წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიყენეს ქრისტიანი შტრეიკბრეხერების ორგანიზაცია მიუხედავათ პროფკავშირთა ბიუროკრატიის ცდისა, საკომპრომისო წინადადება უარყოფილ იქნა მუშების მიერ, შტირიის მუშები ძლიერად ბრძოლისადმი განწყობილნი არიან კომუნისტურმა პარტიამ გამოუშვა მოწოდება გაფიცულთათვის ფულით დახმარების გაწევის შესახებ. განზრახულია სასწრაფოთ დაარსდეს გაფიცვის ფონდი.

ლილის ფეიქრების გაფიცვა.

საფრანგეთი.

გაფიცვა ფართოვდება.

პარიზი. 16 აპრილი. საფეიქრო მრეწველობის მუშების გაფიცვა ლილში მოედო გაცამბრიუკის რაიონსაც.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

საზღვაო ტექნიკუმში.

ბაქო. 18 აპრილი. საზღვაო ტექნიკუმში დაიწყო სავაჭრო ფლოტის გემების ხელმძღვანელების და მექანიკოსების გამოცდა. გამომცდელ კომისიას თავმჯდომარეობს ცენტრის წარმომადგენელი.

კალიასთან ბრძოლა

კარიაგინო. 18 აპრ. კარიაგინის მაზრაში, არაქსის პირათ განადგურებულია ნაწილობრივათ შემოსეული კალია: მავნეებთან ბრძოლის შემდეგ მოსალოდნელია კარგი მოსავალი, რომელიც სავსებით დაფარავს წარსული წლის ზარალს.

კალიასთან ბრძოლის ცდამ, შეტყუების საშუალებით, რომელიც წარმოებული იყო სპარსეთის საზღვარზე, ბრწყინვალი შედეგები გამოიღო. შეტყუების შემდეგ 18 საათის განმავლობაში განადგურებული იყო კალიას 80 პროცენტი.

მუღანში.

ბაქო. 18 აპრილი. მუღანის გლეხები გაცხოველებულ სამზადისში არიან ნათესების, განსაკუთრებით ბამბის, სივრცის გასადიდებლათ. გლეხების მოთხოვნილება წყალზე, რომელიც გოლიცინის არხით მოდის, უახლოვდება ომამდი არსებულ ნორმას. 1923 წელს ამ არხიდან მორწყული იქნა მხოლოდ 13400 დესეტინა. ბამბის ნათესების სივრცის გადიდება ისე აინტერესებს გლეხობას, რომ მას აღარ აშინებს მოსავალის მტრები, კალიის კვერცხებით მოფენილი ბელასუვარის ველიც გაცხოველებულ სამზადისშია. ბამბის მთავარ სამმართველოს არ ყოფნის სათესი მასალა. დახმარების ხელი გაუწია სალიანის მაზრის მიწის განყოფილებამ, რომლის განკარგულებაში წარსული წლის კამპანიიდან დარჩენილი იყო 400 ფ. სათესლე ბამბა. ამ თესლიდან შესაძლოა ამოვიდეს მხოლოდ 60 პროც., მაგრამ გლეხები ამას ყურადღებას არ აქცევენ და სიამოვნებით მიაქვთ თესლი.

ო. თუმანიანის ხსოვნას.

ბაქო. 18 აპრილი. სახალხო განათლების ბაქოს განყოფილებამ ნება დართო სომხურ მეორე საფეხურის № 22 სკოლას ეწოდოს ოვანეს თუმანიანის სახელობის სკოლა.

სასურსათო კომისარიატებში.

ბაქო. 18 აპრილი. მუშგლეხინის რევიზიამ ზოგიერთი მაზრის სასურსათო კომისარიატებში აღმოაჩინა ბოროტმოქმედება სასურსათო საქმის მუშაკების მხრივ. დამნაშავენი მისცენ სამართალში, ამას გარდა მათ მიესაჯათ მიყენებული ზარალის ანაზღაურება. გამოძიება გრძელდება.

ნავთის ფრონტზე.

ბაქო. 1 აპრილი. 11 აპრილს ბაქოს ყველა სარეწაოებში ამოიღეს 604000 ფ. ნავთი, გადაეცა გამოსახდელად 348000 ფ. გამოზიდეს 81000 ფ. ბურღვაში იყო 157 დაზგა. გაბურღეს 58 საჟენი. საბურღაოში მარტის დამდეგს მუშაობდა 149 დაზგა მათ შორის 109 დამკვრელი და 40 მბრუნავი. ამას გარდა 3 დაზგა მუშაობდა იზოლიაციაში. მარტის განმავლობაში მუშაობდა დამატებით 16 დამკვრელი დაზგა, 4 მბრუნავი და 1 იზოლიაციაში. ამ ხნის განმავლობაში საექსპლოატაციოთ გადაცემულია 8 საბურღაო, მათ შორის 7 დამკვრელი და 1 მბრუნავი. 1 აპრილს მუშაობდა 117 დამკვრელი და 43 მბრუნავი დაზგა. გაბურღულია მარტში 1960 საჟენი.

ამ რიგათ მარტის თვეში ბურღვაში მიიღეს საუკეთესო შედეგები მიმდინარე საოპერაციო წელს შედარებით წლის დასაწყისთან ოქტომბერთან, გაბურღულია 3 ნახ. ჯერ მეტი, საოპერაციო წლის დაწყებიდან გაბურღულია 7764 საჟენი, ბურღვა ყოველ თვე იზრდება, თუმცა საერთოთ ჩამორჩა იმ პროგრამას, რომლითაც განზრახული იყო 1 აპრილისთვის 10.000 საჟენი გაბურღვა.

„სამეცნიერო ცხოვრება აზერბეიჯანში".

ბაქო. 17 აპრილი. განათლების მუშაობის განყოფილების აკადემიური სექცია ახლო მომავალში გამოუშვებს ბროშიურას: „სამეცნიერო ცხოვრება აზერბეიჯანში".

საზღვაო გაზიდვა.

ბაქო. 13 აპრ. ნავიგაციის დაწყების შემდეგ 15 აპრილამდე ნავთის გაზიდვაში მონაწილეობდა 33 გემი, წინააღმდეგ წასული წლის იმავე პერიოდის 43-სა. მიუხედავათ ამისა გაზიდვის საქმე არ დაბრკოლებულა, პირიქით, აღემატება წარსული წლისას. მიმდინარე ნავიგაციის პირობები მაინც და მაინც არ არის ხელსაყრელი—ხელს უშლის ხშირი ქარები.

სომხეთი

საქალაქო აღწერა.

ერევანი. 18 აპრილი. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო ემზადება ხუთი მაისიდან ერთდღიანი საქალაქო აღწერის მოხდენას. სომხეთის ქალაქებს გარდა აღწერა მოხდება რკინის გზის სადგურებზე და საგარაკო ადგილებზე. წინასწარი მუშაობა მაზრებში დაიწყება 22 აპრილიდან წინასწარ მუშაობას უხელმძღვანელებენ ცენტრიდან გაგზავნილი ინსტრუქტორები, აღწერაში მონაწილეობას მიიღებს 500-დი მუშა.

კულტურული მუშაობა გამასწორებელ სახლში.

ერევანი. 18 აპრილი. ერევანის გამასწორებელ სახლში წერა-კითხვას სწავლობს 9 კაცი წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია ჩქარა მოხდება. სწავლა სწარმოებს თურქულ, რუსულ და სომხურ ენებზე. მოეწყო ორი ჯგუფი: წერა-კითხვის უცოდინართა და ცუდათ მცოდნეთა. მოეწყო მთელი რიგი ლექციებისა. მარტში გაიმართა ექვსი წარმოდგენა თვით ტუსაღების მიერ აგებულ თეატრში.

ერევნის აღმასკომი.

ერევანი. 18 აპრილი. აღმასკომმა დაადგინა სასწრაფოთ აღადგინოს საზაფხულო კლუბი და მოაწყოს ორკესტრი. აღმასკომი ამ დღეებში ხსნის ახლად შეკეთებულ სასტუმროს.

სომხეთის სახკომსაბჭო.

ერევანი. 18 აპრილი. დამტკიცებულია სომხეთის სახკომსაბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობა, რომელშიც შედიან ამხანაგები: ლუკაშინი, მრავიანი, შავერდიანი, ამირხანიანი, ერზინკიანი, პარზიანი. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთ დამტკიცებულია ამხ. შავერდიანი.

ამიერ კავკასიის შრომის განყოფილებათა წარმომადგენლების თათბირი

(მე 5-ე სხდომა)

თავმჯდომარეობს ამხ. იაკუბოვი. საორგანიზაციო საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. იტკინი. იგი აღნიშნავს შრომის კომისარიატის საორგანიზაციო მუშაობას და ხაზს უსვამს მის მოღვაწეობას შრომის დაცვის, კოლექტიურ ხელშეკრულებების დადების და მუშათა ეკონომიურ ცხოვრების გაუმჯობესების დარგში.

პროფტექნიკური კურსები.

შრომის ინსპექტორთა და ინსტრუქტორთა ცოდნის ასაწევად ამხ. იტკინის მოხსენების თანახმად, გაიხსნას პროფ-ტექნიკური კურსები, რომელიც სასურველ დონეზე დააყენებს ინსპექტორთა და ინსტრუქტორთა მუშაობას პროვინციებში. კურსებში ისინი შეისწავლიან შრომის კანონების კოდექსის ძირითად მუხლებს და ამით აიცილებენ იმ შეცდომებს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ წარსულში.

სატარიფო—ეკონომიური საკითხი.

სატარიფო—ეკონომიური საკითხების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. გორდინსკი, რომლის აზრით ამ საკითხს შრომის კომისარიატმა უმთავრესი ყურადღება მიაქციოს და სატარიფო-ეკონომიური საკითხები უნდა სწყდებოდეს ამიერ-კავკასიის ფარგლებში.

სხდომა დაიხურა საღამოს რვა საათზე.

მეექვსე სხდომა.

უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა სამანდატო კომისიის მოხსენება თათბირს დაესწრო სულ 71 კაცი. შესწორებების შეტანის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუციები სოციალურ დაზღვევის, შრომის დაცვის, შრომის ბაზრის მოწესრიგების შესახებ.

ამხ. იაკუბოვი სხდომის დახურვამდე ჯამს უკეთებს თათბირის მუშაობას და აღნიშნავს მის ნაყოფიერობას.

საღამოს 8 ნახ. საათზე კრება ინტერნაციონალის ჰიმნით იხურება.

პარტიული ცხოვრება

პარტიის წევრთა არალეგალური მუშაობის გამორკვევა

საქართველოს კომუნისტურ პარტიასთან არსებული კომისია, რომელსაც დავალებული აქვს შეისწავლოს და გამოარკვიოს საქ. კომ. პარტიის წევრთა არა ლეგალურ პირობებში მუშაობის რევოლიუციონური სტაჟი, სთხოვს ყველა ამხანაგებს, რომელნიც შემოვიდნენ ჩვენ ორგანიზაციაში რ. ს. დ. მ. პ-ში (ბოლშევიკების) 1917 წლამდე (თებერვლის გადატრიალებამდე) დაწერონ ავტობიოგრაფია და თავის რევოლიუციონური მუშაობა არა ლეგალურ პირობებში დაწვრილებით.

კომისიას დასახული აქვს მიზნათ შეისწავლოს იმ ძველ პარტ. ამხანაგების ცხოვრება და პიროვნება, რომელთაც გადაიტანეს თავის ზურგზე რევოლიუციონური ბრძოლის მთელი სიმძიმე, განწირულად ებრძოდენ მეფის ჯალათებს და მიანიჭეს მშრომელთა წითელ დროშას სრული გამარჯვება.

მიღებული მასალები, მათი გადასინჯვისა და საჭიროებისამებრ გამოყენებისა შემდეგ, გადაეცემა პარტიის ისტორიის კომისიას პრესაში გამოსაქვეყნებლათ.

ვინც არ წარმოადგენს დაწვრილებითი ცნობებს თავის მუშაობის შესახებ არალეგალურ პირობებში ქვემოთ მოყვანილ სქემის მიხედვით, მათ არალეგალურ მუშაობის სტაჟი არ ჩაეთვლებათ, თუგინდ ის დამტკიცებულიც იყოს გადამსინჯველ კომისიის მიერ **(ავტობიოგრაფიების წარმოდგენის უკანასკნელი ვადაა ა. წ. 1 მაისი).**

ამხანაგებს ევალებათ დასწერონ ავტობიოგრაფია, რაც შეიძლება სრულად და დაწვრილებით; ნუ მიაქცევენ ყურადღებას ქვემოდ მოყვანილ კითხვებს, ეს კითხვები მხოლოდ დამხმარე მასალა, წერის დროს რევოლიუციონური ცხოვრებიდან სხვა და სხვა მომენტების გასახსენებლად.

კომუნისტის მოგონებანი.

(ავტობიოგრაფია)

1. დაბადების წელი.
2. სოციალური მდგომარეობა.
3. რომელი წლიდან ღებულობდა მონაწილეობას რევოლიუციონურ მოძრაობაში, მიუხედავათ პარტიულ რწმენისა.
4. რა პირობებმა და წრემ გაიძულათ თქვენ დასდგომოდით რევოლიუციონურ გზას.
5. რომელმა ორგანიზაციამ და პარტიამ მიგიღოთ თქვენ და რა დროს.

ა) მოიყვანეთ სია კომიტეტის იმ წევრებისა, რომლებმაც მიგიღოთ პარტიაში და იმ პირთა, რომელთაც მოგცეს რეკომენდაცია.

6. მუშაობდით თუ არა წრეებში.

ა) როგორ მიგიღეს.
ბ) რა მუშაობას აწარმოებდა წრე.
გ) ვინ მუშაობდა თქვენთან ერთად.
დ) ვინ ხელმძღვანელობდა წრის მუშაობას.
ე) რა სამუშაოს ასრულებდით წრეში.
ვ) როგორი გავლენა იქონია თქვენზე წრემ.

7. რომელ რევოლიუციონურ მოძრაობაში ღებულობდით მონაწილეობას.

ა) პოლიტიკური გაფიცვები,
ბ) ეკონომიური გაფიცვები,
გ) ამბოხებაში,

გააშუქეთ დაწვრილებით როდის, სად და რა პირობებმა გამოიწვია აღნიშნული მოძრაობანი, როგორი ხასიათის იყო ისინი (სტიქიური თუ ორგანიზაციული) და რომელი ფრაქცია ხელმძღვანელობდა მას; გამოიჩინეთ თუ არა რაიმე ინიციატივა ამ მოძრაობაში, თუ ტექნიკური შემსრულებელი იყავით სხვა და სხვა დავალებების.

8. რა და რა კონსპირატიულ დავალებებს გაძლევდათ თქვენ პარტია.
9. სად იყავით თქვენ 1905 წ. რევოლიუციის დროს და რა მონაწილეობას ღებულობდით ამ რევოლიუციაში (ოქტომბრიდან დეკემბრის დამლევამდე)
10. ღებულობდით თუ არა მონაწილეობას მებრძოლ ჯგუფებში

ა) ვინ ხელმძღვანელობდა ჯგუფს.
ბ) რა სამუშაო შეასრულა ჯგუფმა.
გ) რა სამუშაოს ასრულებდით თქვენ ჯგუფში.

11. ღებულობდით თუ არა მონაწილეობას ტერორისტულ აქტებში, თუ ღებულობდით, რომელ ფრაქციის ან ჯგუფის დავალებით. თითონ თქვენ იყავით ტერორისტი თუ ტერორის მარჯვებას უწევდით რომელიმე ტერორისტს და სახელდობრ ვის და როგორი მუშაობით.
12. იყო თუ არა [illegible] წინააღმდეგ რეპრესიული ზომები, ე. ი. თუ იყავით დევნილი, დაპატიმრებული, გადასახლებული, კატორღაში გაგზავნილი და სხვ., აღნიშნეთ რა იყო მათი მიზეზი და გქონდათ ისინი მისჯილი სასამართლოს განაჩენით თუ ადმინისტრატიული წესით.
13. აღწერეთ დაწვრილებით ციხეებში, გადასახლების დროს და კატორღაში გატარებული ცხოვრება. დაასახელეთ ამ დროს თქვენთან მყოფი ამხანაგები, რომლებიც დღეს ჩვენი პარტიის წევრებად ირიცხებიან და ან მოწინააღმდეგე პარტიის თვალსაჩინო ხელმძღვანელათ ითვლებიან.
14. რომელ პარტიის წევრად ითვლებოდით რ. ს. მ. დ. პ—ში (ბოლშევიკების) შემოსვლამდი, რა სამუშაოს ასრულებდით იქ და ვინ მუშაობდა თქვენთან ჩვენი პარტიის წევრთაგანი.
15. განუწყვეტლივ აწარმოებდით რევოლიუციონურ მუშაობას. თუ რაიმე მიზეზების გამო სწყვეტდით მას, როდის შესწყვიტეთ, რამდენ ხანს და რა მიზეზების გამო.
16. 1917 წლამდი მუდამ ბოლშევიკურ ფრაქციაში მუშაობდით თუ იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც მენშევიკებთანაც მუშაობდით. მუშაობდით თუ არა გაერთიანებულ რ. ს. დ. პ. ორგანიზაციაში ფრაქციის გარეშე და ვინ მუშაობდა კიდევ თქვენთან ერთად, რომელნიც დღეს ჩვენთან მუშაობენ.
17. სად იყავით თქვენ თებერვლის და ოქტომბრის რევოლიუციის დროს და როგორი მონაწილეობა მიიღეთ მათში.
18. სულ რამდენი ხანი მუშაობდით რ. ს. დ. პ—ში (ბოლშევიკ.) 1917 წლამდე.

ყველა ზემო აღნიშნული კითხვები (4—18) ვრცლათ უნდა გააშუქოთ შემდეგ წლებში 1900, 1903, 1905, 1907, 909, 912, 914, 917 და აღნიშნოთ თუ სად იმყოფებოდით იმ ხანებში.

აღნიშნეთ, ღებულობდით თუ არა მონაწილეობას პარტკონფერენციაზე, ყრილობებზე; როდის და სად, დაასახელეთ, ვინ იყო კიდევ თქვენს გარდა, რა საკითხები ირჩეოდა იმ კონფერენციებზე. თუ ყრილობებზე. თუ რამე მასალა გაქვთ, წარმოადგინეთ. თუ აქვს სხვა ვინმეს, დაასახელეთ ვის.

იყავით თუ არა საზღვარ გარეთ, რას აკეთებდით, ვისთან მუშაობდით და სხვა, გქონდათ თუ არა კავშირი კავკასიასთან და რაში გამოიხატებოდა ის. დაასახელეთ ის ამხანაგები, ვისთანაც გქონდათ კავშირი.

შენიშვნა: 1) ყველა ის ამხანაგები, რომლებსაც თვით არ შეუძლიათ აღწერონ თავიანთი რევოლიუციონური მოღვაწეობა, უნდა განაცხადონ ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებში, რომლებიც მოვალენი არიან მოუსმინონ და შეადგინონ მათი ავტობიოგრაფიები.

2) მაზრის და ოლქის კომიტეტებს ევალებათ მიიღონ ყოველიგე ზომები თანახმად ცეკას ცირკულიარისა № 8 ძველ პარტიულ მომუშავეების შესახებ, სისწრაფით შეკრიბონ ცნობები და თავიანთი დასკვნით გადმოგზავნონ ცეკაში, არა უგვიანეს 15 მაისისა.

კომისიის მდივანი; **ლეცინოვი.**

კოლოფის ფაბრიკის იაჩეიკა

ბრძოლა ლოთობის წინააღმდეგ

იაჩეიკის სხდომაზე 6 აპრილს მოსმენილ იქნა მოხსენება ამხ. ფრიდონოვისა, რომელმაც აღნიშნა, რომ მუშათა უბნებში როგორც სოკოები მრავლდება დუქნები. დუქნების მეპატრონეები ნისიათ აძლევენ სასმელებს მუშებს და ამნაირათ ხელს უწყობენ ლოთობის გავრცელებას, რომელიც მეტად აფერხებს მუშების გათვითცნობიერების საქმეს და ეკონომიურ კეთილდღეობას. მუშები თვითონ გრძნობენ ამ სენის გამხრწნელ გავ-

საბაზრო ფასების მერყეობა საქართველოს უმთავრეს ქალაქებში

საქართველოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ცნობებით, მიმდინარე წლის თებერვლის განმავლობაში, საქონლის ფასების საერთო iudex-ი შედარებით 1913 წლის ფასებთან, რომელსაც ჩვენ ვიღებთ ერთათ, ქალაქ ქუთაისში უდრიდა 575.021, ქ. თბილისში—590.634 და ქ. ბათომშიც 760 685. ამნაირათ, ბათომში საქონელი უფრო ძვირი ყოფილა თებერვალში, ვიდრე ქუთაისში, ხოლო თბილისში საქონლის ფასებს საშუალო ადგილი სჭერია დასახელებული ქალაქების საქონლის ფასებს შორის.

თუ შევადარებთ თებერვლის საქონლის ფასებს იანვრის ფასებთან, დავინახავთ, რომ თებერვლის განმავლობაში ფასები გადიდებულა თბილისში—8 პროც. ქუთაისში—4 პროც. და ბათომში—კი 2 პროც. იანვრის განმავლობაში ფასების გადიდება მოხდა ამ ქალაქებში აღნიშნულივე თანამიმდევრობით. შედარებით წარსული წლის დეკემბრის ფასებთან, იანვარში ფასებმა იმატა თბილისში—79 პროც ქუთაისში—45 პროც. და ბათომში—კი—10 პროც. რაც შეეხება წარსული წლის დამლევის-დეკემბრის ფასების მდგომარეობა—მერყეობას, ფასების მატება ამ დროს მოხდა ზევით აღნიშნული თანამიმდევრობის საწინააღმდეგო წესით; შედარებით წარსული წლის იანვრის ფასებთან, დეკემბერში ფასებმა მოიმატა თბილისში 67 პროც. ქუთაისში 88 პროც. და ბათომში—კი 100 პროც. ასეთივე თანამიმდევრობა ახასიათებს ფასების მდგომარეობა—მერყეობას ამ ქალაქებისთვის თითქმის მთელი წარსული წლის განმავლობაში. ზემოაღნიშნულის მიხედვით, იმ დასკვნამდის მივდივართ, რომ **წარსული წლის განმავლობაში საქართველოში ფასების მატება მიიმართებოდა ასე ვთქვათ დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ (ბათომი, ქუთაისი, თბილისი), ხოლო მიმდინარე წლის პირველი ორი თვის განმავლობაში, ეს მიმართულება იცვლება საწინააღმდეგო მიმდინარეობით, ფასების მატება ხდება აღმოსავლეთიდან - დასავლეთისაკენ (თბილისი, ქუთაისი, ბათომი),** ამავე დროს, საქონლის ფასების ზრდას შემცირებითი მიმდინარეობა ახასიათებს თვიდან-თვემდის, მაგალითად, საქონლის ფასებმა მოიმატა თბილისში იანვრის განმავლობაში 79 პროც., ხოლო თებერვალში 8 პრ., ქუთაისში იანვარში იმატა 45 პრ. თებერვალში კი 4 პრ., ბათომში იანვარში იმატა 10 პრ., ხოლო თებერვალში—2 პრ.

ამნაირათ, თუ ჩვენ დაუპირდაპირებთ **ერთის მხრივ საქონლის გაძვირების ხარისხის მიმართულებას დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ** (ბათომი 761 ათასი წინააღმდეგ 1913 წ. ფასების, რომელსაც ვიღებთ ერთათ, და თბილისი 590 ათასი), **ხოლო მეორე მხრივ ავიღებთ 1923 წ. საქონლის ფასების მატების შემჩნეულ საწინააღმდეგო მიმართულებას—აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, ჩვენ იმ დასკვნამდის მივალთ, რომ შექმნილ ეკონომიურ კონიუნქტურაში, აღნიშნულ ქალაქებში, საქონლის ფასებს გათანასწორებისაკენ მიმართება ემჩნევა.** რაც შეეხება მიმდინარე წლის თებერვალში ფასების უმნიშვნელო მატებას, შედარებით მიმდინარე წლის იანვართან და წარსული წლის დეკემბერთან, ამაზე ჯერ-ჯერობით არაფრის თქმა არ შეიძლება, რადგან აღნიშნული მოვლენის დაკვირვების დრო არის მეტად მცირე ხანი და თუ რა მიმართებას მიიღებს შემდეგ ამას მოკლე ხანში დაუბრუნდებით.

ჩვენ ვლაპარაკობდით აქამდის საქონლის ფასების საერთო მდგომარეობაზე. მაგრამ რით ხასიათდება ამა თუ იმ საქონლის ფასების მიმდინარეობა, რა დამოკიდებულებაში სოფლის და ქალაქის წარმოების ფასება ჩვენთვის ჯერ ეს შეუცნობია. დაუბრუნდეთ მაშ მის ანალიზს და გავიგოთ თუ რა დამოკიდებულება—მიმართება ახასიათებს საქონლის ამ ორ დიდ ჯგუფს, სახელდობრ სასურსათო და არა სასურსათო საქონლის ფასებს.

როგორც ქვევით დავინახავთ, საქართველოში თებერვლის განმავლობაში, შედარებით იანვართან სასურსათო საგნები გაძვირდა, ხოლო არა სასურსათო საგნების ფასები დაეცა, მეტადრე მნიშვნელოვნათ თბილისში და ქუთაისში.

მიმდინარე წლის პირველი ორი თვის განმავლობაში მათი ურთიერთობა შემდეგნაირათ გვეხატება.

	სასურ. საგნ.		არა სას. საგნ.	
	იანვარი	თებერვალი	იანვარი	თებერვალი
თბილისი	100	125	100	79
ქუთაისი	100	110	100	85
ბათომი	100	104	100	99

როგორც მოყვანილ დაპირდაპირებიდან სჩანს, თებერვლის განმავლობაში სასურსათო საგნების მაქსიმალური გაძვირება მოხდარა თბილისში—25 პროც იანვართან შედარებით, ხოლო მინიმალური გაძვირება-კი ბათომში—სულ 4 პროც. იმ დროს, როდესაც ქუთაისში სასურსათო საგნების ფასს მხოლოდ 10 პრ. აუწევია. ამნაირათ, სასურსათო საგნების გაძვირების მიხედვით ქუთაისს კვლავ საშუალო ადგილი უჭირავს ბათომსა და თბილისს შუა.

რაც შეეხება არა სასურსათო საგნების ფასს, როგორც უკვე აღვნიშნეთ ზევით, სამივე ქალაქში მათი ფასი ეცემა-იაფდება, მეტადრე მნიშვნელოვნათ თბილისში (21 პროც) და ქუთაისში (15 პროც.), ხოლო უმნიშვნელოთ გაიაფებულა ბათომში სულ 1 პროც.

მართალია, თებერვალში სასურსათო საგნები გაძვირდა, ხოლო არა სასურსათო საგნები გაიაფდა, მაგრამ, თუ რა დამოკიდებულება ახასიათებს ამ ორი ჯგუფის საქონლის ფასებს მშვიდობიანი დროის ფასებთან შედარებით, ამას ქვევით დავინახავთ, მანამდის-კი ზევით აღნიშნული მდგომარეობა მხოლოდ უკეთესი პერსპექტივის მაჩვენებელია სოფლის ნაწარმოებისათვის და შემდეგ განვითარებაზეა დამოკიდებული ამ ორი ჯგუფის საქონლის ფასებს შორის ნორმალური დამოკიდებულების საკითხი.

მიმდინარე წლის თებერვლის განმავლობაში, ამ ორი ჯგუფის საქონლის ფასის index-ები შემდეგი იყო შედარებით 1913 წლის ფასებთან, რომელიც ჩვენ მიერ აღებულია, როგორც ერთი.

	სასურ. საგნ.		არა სას. საგნ.	
	1913 წ.	თებ.	1913 წ.	თებ.
თბილისი	1	495 333	1	958 221
ქუთაისი	1	463 695	1	988.518
ბათომი	1	655 868	1	1.164.979

როგორც მოყვანილ ცხრილიდან ვხედავთ, ყველა სამივე ქალაქში, არა სასურსათო საგნები ორჯელ მეტათ არის გაძვირებული, ვიდრე სასურსათო საქონელი. თუ თებერვლიდან შემჩნეული სასურსათო საგნების გაძვირების ტემპი აღებული გზით განვითარდა, მაშინ შესაძლებელია უახლოეს დროში მაინც დამყარდეს დაახლოვებით სწორწონობა ამ ორი ჯგუფის საქონლის ფასებს შორის ე. ი. ქალაქის და სოფლის ნაწარმოებს შორის.

თუ ჩვენ უკან დავიხევთ და თვალს გადავავლებთ საქონლის ფასების საერთო index-ებს წარსული დროის განმავლობაში, ჩვენ დავინახავთ შემდეგ ციფრობლივ სურათს, რომელიც ცხადათ გვიჩვენებს საბაზრო ფასების დინამიკას საქართველოს უმთავრეს სამ ქალაქში.

თვეები		თბილისი	ქუთაისი	ბათომი
1921 წ.	ივნისი	100	100	100
	ივლისი	94	95	96
	აგვისტო	100	94	107
	სექტემბ.	81	87	97
	ოქტომბ.	74	84	90
	ნოემბერი	90	86	88
	დეკემბ.	124	110	114
1922 წ.	იანვარი	202	252	267
	თებერვ.	295	334	456
	მარტი	316	370	369
	აპრილი	297	396	418
1922 წ.	მაისი	273	395	344
	ივნისი	251	369	288
	ივლისი	189	295	281
	აგვისტო	192	263	237
	სექტემბ.	203	270	282
	ოქტომბ.	221	274	241
	ნოემბერი	216	255	245
	დეკემბ.	316	488	471
1923 წ.	იანვარი	407	710	697
	თებერვ	485	735	711

როგორც მოყვანილ ცხრილიდან სჩანს, 1921 წლის ივნისიდან დაწყებული საქონლის ფასების მაქსიმალური დაცემა ხდება ამავე წლის ოქტომბერ-ნოემბერში. ამ დროს ფასები თბილისში ოქტომბერში შეადგენს 74 პროც. ივნისის ფასების, ხოლო ქუთაისში—84 პროც., რაც შეეხება ბათომს, აღნიშნული მოვლენას აქ ერთი თვით გვიან აქვს ადგილი, სახელდობრ—ნოემბერში, რომლის ფასებიც ივნისის ფასების 88 პროც. შეადგენს, მაშასადამე, გაიაფება მომხდარა 12 პროც. ფასების აღნიშნული პირველი დეპრესიის შემდეგ (ოქტომბერი—ნოემბერი), საქართველოში იწყება საქონლის საერთო გაძვირება, რომელიც 1922 წლის იანვრიდან თითქმის კატასტროფიულ ხასიათს იღებს. აღნიშნული მოვლენის უმთავრეს მიზეზათ უნდა ჩაითვალოს იმ დროს საქართველოში არსებული სავალიუტო ქაოსი. ამ პერიოდში ფასების ზრდა თავის უკიდურეს სიმაღლეზე ადის წარსული წლის მარტში თბილისში, სადაც ის 316 პროც. აღწევს წინა წლის ივნისის ფასების წინააღმდეგ, ხოლო აპრილში ქუთაისში (396 პროც.) და ბათომში (418 პროც.) აღნიშნული თვეების შემდეგ, ფასების ზრდის ტენდენცია დაცემით დეპრესიით იცვლება და წარსული წლის ზაფხულში იგი ეშვება თავის მეორე უმდაბლეს დონეზე—თუმცა იმაზე დაბლა არა, რომელიც მას 1921 წლის ივნისში ეჭირა. ამ დროისთვის, საქონლის ფასის index—ები უდრიდა თბილისში ივლისში 189 პროც. (1921 წ. ივნისთან შედარებით გადიდებულ იყო მხოლოდ 89 პროც.), ხოლო აგვისტოში ქუთაისში—263 პროც. და ბათომშიც 237 პროც. აღნიშნული გაიაფების შემდეგ, კვლავ იწყება საქონლის გამუდმებული გაძვირება ოქტომბრის უმნიშვნელო შეჩერებით თბილისში, ხოლო ნოემბერში ქუთაისში და ბათომში, რის შემდეგაც ფასები კვლავ ზევით მიისწრაფის და მიმდინარე წელსაც ხომ ამ გზით სვლას განაგრძობს. შედარებით 1921 წლის ივნისთან, თებერვალში ფასები გადიდებულა თბილისში 385 პროც. ბათომში 635 პროც. და ქუთაისშიც 611 პროც ამავე დროს დიემჩნია ფასების გათანასწორება სამ აღნიშნულ ქალაქში.

თუ თბილისის ფასებს შევადარებთ მოსკოვის ფასებს, ჩვენ დავინახავთ რომ საქონლის გაძვირების მიხედვით თბილისი მნიშვნელოვნათ დაბლა სდგას მოსკოვის ფასებზე.

1922 წლის მოყვანილი თვეების საქონლის ფასები, შედარებით 1913 წლის ფასებთან, რომელსაც ჩვენ ვიღებთ ერთათ, შემდეგი იყო ამ ორ დასახელებულ ქალაქში.

ათასობით არის აღებული 1922 წელი

1923 წ.	თბილისი	მოსკოვი	
	1	1	
1922 წ. ოქტომბერი	214	12 533	(პირველი XI)
„ ნოემბერი	208	15 967	(პირველი X)
„ დეკემბერი	305	20.746	(პირველი 1—23 წ.)

ასეთივე მდგომარეობა—თანამიმდევრობა ახასიათებს საქონლის ფასებს საქართველოსა რუსეთისათვის.

ათასობით არის აღებული 1922 წელი.

1923 წ.	თბილისი	მოსკოვი	
	1	1	
1922 წ. ოქტომბერი	201	11.561	(პირველი XI)
„ ნოემბერი	199	16.972	(პირველი XII)
„ დეკემბერი	293	21.015	(პირველი 1—23 წ.)

ამნაირათ, წარსული წლის დამლევს—დეკემბერში, შედარებით მშვიდობიან დროსთან, საქართველოში საქონლის ფასები თუ 293 ათასჯერ ყოფილა გადიდებული, რუსეთში ამ დროს საქონლის სიძვირე 21.015 ათას აღწევდა. ცხადია, რამდენათ დაცემულია ფულის კურსი ერთსა და მეორე ქვეყანაში—სადაც საქონლის გაძვირება ამ დროსათვის სამოცდა თორმეტჯერ მეტი ყოფილა, ვიდრე საქართველოში.

თუ ჩვენ გადავალთ ცალ-ცალკე საქონლის ჯგუფების index-ების განხილვაზე, დავინახავთ, რომ თებერვალში ზოგიერთი საქონლის ჯგუფები მნიშვნელოვნათ გაიაფებულა შედარებით იანვართან, ხოლო დანარჩენი საქონლის ჯგუფების გაძვირების ტემპი შესამჩნევათ შენელებულა, იმ დროს, როდესაც მიმდინარე წლის იანვრის განმავლობაში საქონლის ყველა ჯგუფეში მნიშვნელოვნათ გაძვირდა შედარებით წინა წლის დეკემბერთან.

მოყვანილ მოსაზრების სამართლიანობას, ნათლათ გვიჩვენებს ქვევით მოყვანილი ცხრილი. ამ ცხრილიდან ჩვენ ვიღებთ სრულიად ამომწურავ სურათს ამა წლის იმ საქონლის ჯგუფის გაძვირებისას, შედარებით წინა თვეების ფასებთან იანვრისა და თებერვლისათვის ხოლო წარსული წლის დეკემბრისათვის შედარებით 1921 წ. იანვართან.

№№ რიგზე	საქონლის ჯგუფები	1922 წ. დეკემბრ. ფასები პროც.-ში 1922 წლ იანვრ. ფასებთან			1923 წლ. იანვრის ფასები პროც.-ში 1922 წ. დეკებრ ფასებთან			1923 წ თებერვლ. ფასები პროც.-ში 1923 წლ. იანვრის ფასებთან		
		თბილისი	ქუთაისი	ბათომი	თბილისი	ქუთაისი	ბათომი	თბილისი	ქუთაისი	ბათომი
1	პურეულობა	70	126	109	135	167	147	139	83	105
2	ბოსტნეულობა	63	93	100	179	244	213	147	107	86
3	ხორცეული	182	215	214	139	154	90	216	116	127
4	ცხიმი	157	155	194	223	151	156	—	139	138
5	რძეული და კვერცხი	149	151	169	180	137	141	97	126	117
6	საბაკალეო სასურ. საგნ.	289	301	352	181	140	155	109	108	101
7	საბაკ. არა სასურ. საგნ.	198	212	163	254	176	145	88	91	95
8	განათების საგნები	248	281	218	170	147	186	105	97	107
9	ტანსაცმ. და ფეხსაცმ.	367	332	301	169	105	140	61	77	98
	საერთოთ	167	188	200	179	145	119	108	104	102

ლენას და მოითხოვენ მის წინააღმდეგ გადამჭრელ ზომების მიღებას. ფრიდონოვის მოხსენების შემდეგ კოლოფის ფაბრიკასთან არსებულმა იაჩეიკამ ერთხმად დაადგინა ეცნობოს ამის შესახებ მეორე რაიკომს, რათა მან კატეგორიულად მოითხოვოს ქალაქის აღმასკომისაგან მაგარი სასმელებით ვაჭრობა ფაბრიკა-ქარხნების და მუშათა რაიონებში. ამასთანავე მოითხოვოს თამბაქოს ტრესტს გახსნას სულ მოკლე დროში სასადილო ხსენებულ ფაბრიკასთან.

დახმარება რურის მუშებს და საჰაერო ფლოტს.

კრებაზე გამოითქვა მუშების სურვილი არ იუქმონ 7 აპრილი, იმუშაონ ამ დღეს და სამუშაო ხელფასის ნახევარი გადაიდოს რურის ოლქის მუშების სასარგებლოდ. მეორე ნახევარი კი საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ. იაჩეიკა ესალმება უპარტიო მუშების ასეთ შეგნებულ გამოსვლას, ესალმება მას და სისრულეში მოყავს ეს გადაწყვეტილება.

ადგილობრივი.

სამტრედია

ქალაქის კომუჯრედში

5 აპრილს ქალაქის მუსიკალურ სასწავლებლის დარბაზში მოხდა ქალაქის კომუჯრედის ღია კრება, რომელზედაც დაესწრენ სხვა მრავალი მოქალაქენიც. მოხსენება გააკეთა ამხ. გერ. ნაფეტვარიძემ შემდეგ თემაზე: **„მენშევიზმის გახრწნა“...**

პირველათ უჯრედის მდივანმა მოკლე სიტყვით გააცნო დამსწრეთ ღია კრებების მნიშვნელობა... რის შემდეგ ამხანაგი ნაფეტვარიძე შეეხო მენშევიზმის წარმოშობის ისტორიას რ. ს. დ. მ. პარტიის დაარსებიდან, მის თანდათან მარჯვნით გადახრა და უკანასკნელის კონტრრევოლიუციის ბანაკში თავის ამოყოფა.

მოხსენება დიდი ყურადღებით იყო მოსმენილი, რის შემდეგ მიიღეს რეზოლიუცია, რომლითაც დროულათ ცნობენ **„მენშევიზმის რიგების დაშლას“** და მოუწოდებენ სხვა მუშებს და გლეხებს, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულან მენშევიზმის გავლენისაგან, გამოფხიზლებულიყვნენ და ხელი შეეწყოთ მთლიან მუშათა ფრონტის განმტკიცებისათვის მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

კომკავშირის აღდგომა.

წირვის ნაცვლათ წარმოდგენები და მოხსენებები. სულ არ გავიდა წრევანდელი აღდგომა ძველს. ცრუ მორწმუნეობის და მღვდლების ქადაგების მაგიერ ეკლესიებში გაისმოდა მეცნიერების ხმა... მაცხოვრის ეკლესია, ილორის, რკინის გზის, რუსების ეკლესია და მელაფრის გადაკეთებულ იქნა სახალხო სახლებათ. შაბათ ღამეს ზემო აღნიშნულ სახალხო სახლებში გაიმართა უფასო წარმოდგენები და საღამოები. წარმოდგენებს წინ უძღოდათ სიტყვები, რომლითაც ამხანაგები აცნობდენ ხალხს სამღვდელოების ცრუ მორწმუნეობის და „ძველ აღდგომის“ წარმოშობის ისტორიას, და გამოსთქვამდენ სურვილს, რომ კომკავშირს შეეცვალოს ეს ძველი აღდგომა თავის აღდგომით. მიუხედავათ სასტიკი ცუდი ამინდისა, წარმოდგენას ხალხი საკმაოდ დაესწრო და კმაყოფილნი დაიშალენ.

ხან-კანი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(19 აპრილი)

ოქროს 10 მანეთიანი — 10,700 ათ,
გირვანქა სტერლინგი — 5.750.
დოლარი — — — 1.385.
ლირა — — — — 1015.
საბჭოთა ფულის ნიშნები 15,75.

ოქროს კურსი რ. ს. ფ. ს. რ. სხვადასხვა ქალაქებში.

(16 აპრილს).

პეტროგრადი — — 730 მილ.
ხარკოვი — — — 700 „
კიევი — — — — 678 „
ოდესა — — — — 670 „

ძვირფასი ლითონების კურსი

(19 აპრილს)

ოქრო 96 სინჯის მისხალი—3 მ. 40 კ., ოქრო 56 სინჯის მისხალი—1 მ. 70 კ., ვერცხლი 84 სინჯის მისხალი — 6,75 კ., ერთი მანეთი (ბანკის) - 40 კ., ერთი მანეთი წვრილი ოქროთი—16,5 კ.

ერკოოპის ფასები.

(19 აპრილს)

თეთრი პური—25, ყუბანის ფქვილი 1—ხარისხის—45, შაქარი ფხვნილი—ფასი მერყევია, საპონი „ტოლლე“—120, საპონი ადგილობრივი—120, წუმწუმა—15, ლობიო—15, მარილი—20, საპნის ზეთი—120.

თბილისის ბაზრის ფასები.

(ბითუმად)

ყუბანის ფქვილი—650, ადგილობრივი—500, გადარჩეული—600, ლობიო—650—800, ბრინჯი—4,600, ფქვილი „ნელსონი“—9—9,50 ლირა, „დურუმი“—7—7,50 ლირა, კრუპჩატკა—1900, ფქვილი ადგილობრივი—700—750, შაქარი რაფინადი—35 მანეთი, კარაქი 1 ხარისხის—15,500—16000, ჩაი „სოსიფროსი“—95 მანეთი ოქროთი.

18 აპრილს თბილისის სადგურზე მიღებული ტვირთი.

პირდაპირი მარშრუტით პურის ფქვილი—105 ცალი, შაბიამანი—56 ბოჭკა.

ადგილობრივი მარშრუტით—ხორბალი—336 ცალი, ქვანახშირი—8 ვაგონი, კარტოფილის ფქვილი—119 ფ. მთრიმლავი გამოხსნარი (дуб. экстракт)-88 ფ., ტყავი დამუშავებული—22 ფ., ტყავი ჰამბურგის—5 ფ. 10 გ., ვაშლი—200 ფ.

ვალიუტა ბაქოში.

(19 აპრილს)

ოქროს ათ მანეთიანი - 9,500. ეს ცნობა მიღებულია გუშინ პირველ საათზე. დანარჩენი ვალიუტაც იწევს.

სავალიუტო ბაზრის მდგომარეობა.

(19 აპრილს).

განწყობილება უმჯობესდება ვალიუტაზე ფასების დაწევის გამო, თუმცა ეს დაწევა უმნიშვნელოა. ძვირფას ლითონების კურსი უცვლელია.

ოქრო მოსკოვში.

გუშინ, 19 აპრილს ნაშუადღევის პირველ საათზე მიღებულია შემდეგი დეპეშა—ოქროს ათ მანეთიანის კურსი 1923 წლის ფულის ნიშნებით უდრის 620 მანეთს.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

(19 აპრილს)

ხორბლეულობას და პურის პროდუქტების ბაზარზე განწყობილება მტკიცეა. შაქრის ბაზარზე—მოწოდება აღემატება მოთხოვნილებას. მყიდველების განწყობილებას ემჩნევა მოლოდინი. ნედლეული მასალის, ქიმიური და საამშენებლო საქონლის ბაზარზე—განწყობილება გაცხოველებულია.

„ცენტროსოიუზის“ მუშაობა გერმანიაში.

ცენტროსოიუზის კანტორის მუშაობა ბერლინში გამოიხატა ანილინის საღებავების ორი დიდი პარტიის შეძენაში პირველი ხელშეკრულების დადების დროს შესაძლებელი გახდა სესხის მიღება ნახევარი წლის ვადით. მთელი ბრუნვა პირველი საოპერაციო წლის განმავლობაში იმპორტით უდრიდა 35.000 გირვანქა სტერლინგს. კანტორამ გაასაღა რუსეთის ნედლი მასალა ამავე ჯამის. ბერლინის კანტორის მთელი ბრუნვა უდრის 170 000 გირვანქა სტერლინგს: ეს ჯამი რომ შევადაროთ ხარჯებს—1152 გირ. სტერლინგს, მივიღებთ მეტად უმნიშვნელო პროცენტს (0,67 პროცენტს) ცენტროსოიუზი გერმანიაში დიდი კრედიტით სარგებლობს და მიღებული აქვს რამდენიმე სერიოზული წინადადება. 1923 წ. მუშაობა საგრძნობლათ გაფართოვდა.

ტირაჟის საქონლის განყოფილების მოწოდება.

ნაწარმოები რ. ს. ს. რ. ტყავის სინდიკატის. შაქარი, საღებავი „კურკუმა“, შაბიამანი, „კრონა“. რკინა ხარისხოვანი, სათეთრებელი ტყვიის, ხორბალი, ცემენტი პორტლანდიის, სკიპიდარი, ჯაგარი თურქესტანის, ნაწლავები ცხვრის ბარები რკინის, ყველი შვეიცარული, „სარდინა“ შვრია, ფქვილი ყუბანის, ასანთი რუსეთის, მინები ფანჯრების, მატყლი, მანუფაქტურა რუსეთის. ლურსმანი, რეზინის ნაწარმოები, ჯაგარი ხარისხოვანი, „საზზა“, ჩაი „სოსიფროსის“.

ბირჟის მოთხოვნილება.

ტყავი ნედლი. მინები ფანჯრის. ნაწლავები, კაუსტიკის სოდა, მარილი ბერტოლეტის, პარაფინი. ლურსმანი, ასანთი რუსული, მანუფაქტურა, საპნის სუროგატი, რეზინის ნაწარმოები, ხორბლეული და პურის პროდუქტები, შაბიამანი, გოგირდი ფხვნილი, მატყლი შუშის, ბარები რკინის, საამშენებლო მასალა.

ოფიციალური გარიგება.

(19 აპრილს)

დამთავრდა გარიგება რეზინის ტრესტის ნაწარმოებებზე პრეისკურანტის ფასებში, ამ.-კავ. ფულის ნიშნებით 3 მილიარდ მანეთის.

რუსეთ-იტალიის შერეული საზოგადოება.

საკითხი იტალია-უკრაინის შერეულ საზოგადოების დაარსების შესახებ გადასწყდა სასურველად, როგორც ამას იტყობინება ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის წარმომადგენელი. საბჭოთა წარმომადგენლობის პირობები მიღებულ იქნა.

საბჭოთა რუსეთის ვაჭრობა იტალიასთან.

იტალიაში მყოფ საბჭოთა რესპუბლიკის სავაჭრო წარმომადგენლობის ანგარიშში მოყვანილია ციფრები, რომელიც ახასიათებს ვაჭრობას იტალიასთან, მიმდინარე წლის დასაწყისში იანვარში შეტანილ იქნა იტალიაში 5000 ტონა რკინა. თებერვალში იტალიამ იყიდა 4000 ტონა შავი ქვა და 1000 ტონა ფარომანგანუმი, თებერვალში შეტანილ იქნა იტალიაში 1000 ფუთი ცხენის თმა და 32000 კილო აბრეშუმის პარკი და 25 000 კილო აბრეშუმის ნედლი მასალა.

გარდა ამისა უკანასკნელ 3 თვის განმავლობაში იტალიაში გაყიდა ხეტყის, რქების, ჩლიქების, ჯაგარის და კაუსტიკურ სოდის პარტიები. გაიყიდა აგრეთვე სულფატალუმინის პარტია, მაგრამ შემოსულ ფულზე (3.000 000 იტ. ლირ.) დადებულია აკრძალვა, რადგან სასამართლომ არ იცნო იტალია—რუსეთის დროებითი ხელშეკრულება. არ ცნობა დამყარებულია ფორმალობაზე. ყოველ შემთხვევაში ამას აქვს დროებითი ხასიათი.

ბათომის ნავთსადგური 1923 წ. იანვარ-მარტში

მიმდინარე წლის პირველ მეოთხედში, ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ცნობების მიხედვით, ბათომის ნავთსადგურში შემოტანილა ყოფილა კაბოტაჟით (საქართველოს და რუსეთის ნავთსადგურებიდან შემოტანა-გატანა) 198 589 ფუთ. საქონელი, ხოლო ამავე დროს გატანილი 57.623 ფუთ. ამნაირად, შემოტანილი საქონელი თითქმის ერთი სამად—130 966 ფუთ. აღემატება გატანილ საქონელი.

აღნიშნული რაოდენობიდან გატანილა იანვარში—25.522 ფუთ., თებერვალში—15.844 ფ. და მარტშიც—26.257 ფ., ხოლო შემოტანილა იანვარში—77.886 ფ., თებერვალში—43 854 ფ. და მარტშიც—76.849 ფუთი.

შედარებით წინა წლის შემოტანა-გატანასთან აღნიშნული რაოდენობა შემდეგ მიმართებას გვიჩვენებს:

ფუთობით:

	გატანა	შემოტ.
1922 წ. იანვ.-მარტ.	209 821	179.854
„ აპრ.-ივნ.	245 925	132 360
„ ივლ.-სექტ.	206 019	63.125
„ ოქტ.-დეკ.	126.869	456.769
1923 წ. იანვ.-მარტ.	67.623	198.589

ამნაირად, , როგორც გატანა, აგრეთვე შემოტანა მნიშვნელოვნად არის შემცირებული შედარებით წინა დროსთან.

1923 წ. პირველი მეოთხედი განმავლობაში გატანილი და შემოტანილი საქონლის რაოდენობა, შემდეგნაირად ნაწილდება საქონლის მთავარი ჯგუფების მიხედვით.

	გატანა	შემოტ.
1. საარსებო საგნები	52.084	122 697
2. ნედლი და ნახევრად დამუშავებული საქონელი	10.945	57 894
3. ცხოველები	—	150
4. ნაწარმოები	4.092	16 177
5 დაუსახელებელი საქ.	502	1 671
სულ	67.623	198.589

როგორც მოყვანილ ცხრილიდან ვხედავთ, ყველა დასახელებულ საქონლის ჯგუფები შემოტანილა უფრო დიდი რაოდენობით, ვიდრე გატანილა.

როგორც გატანაში, აგრეთვე შემოტანაში, პირველი ადგილი უჭირავს საარსებო საგნებს, მეორე—ნედლი და ნახევრად დამუშავებული საქონელს, ხოლო მესამე—საქარხნო, საფაბრიკო და სახელოსნო ნაწარმოები.

გატანილი და შემოტანილი საქონელი შემდეგნაირად ნაწილდება გამტან და შემომტან მხარეების მიხედვით.

№ რიგზე	საქონლის ჯგუფები	გატანა		შემოტანა	
		საქარ. ნავთსად.	რუსეთის ნავთსად.	საქარ. ნავთსად	რუსეთის ნავთსადგ.
1	საარსებო საგნები	11.318	40 766	7.833	114.864
2	ნედლი და ნახევრ. დამუშ. საქ	5 541	5,404	4.488	53.406
3	ცხოველები	—	—	120	30
4	ნაწარმოები	2.636	1.456	2 012	14.165
5	დაუსახელებელი	423	79	1 035	636
		10 919	47 705	15 488	183 101

როგორც მოყვანილ ცხრილიდან სჩანს, ბათომიდან გატანილ საქონლიდან საქართველოს ნავთსადგურებში გატანილა სულ 19,918 ფუთი ანუ 30 პროც., ხოლო შემოტანილ საქონლიდან 15,488 ფ. ანუ 8 პროც. ამნარად, შემოტანილი საქონლის უდიდესი ნაწილი შემოტანილა რუსეთიდან, ხოლო ორ მესამედზე მეტი გატანილი საქონლისა გატანილა რუსეთში.

საქართველოს ნავთსადგურებში ზედმეტი რაოდენობით გატანილა ყველა დასახელებული საქონლის უმთავრესი ჯგუფები, ხოლო რუსეთის ნავთსადგურებიდან კი—პირუკუღმა—შემოტანილა თვითეული მათგანი მეტი რაოდენობით ვიდრე გატანილა.

თუ ცალ-ცალკე დავასახელებთ შემოტანის და გატანის უმთავრეს საგნებს, შემდეგს დავინახავთ.

გატანის მთავარი საგნები ყოფილა: ხილი—30,870 ფ., ფქვილი—3,990 ფ., ღვინო—2,871 ფ., მანქანის ზეთი—2,230 ფ., ნავთი—2,175 ფ. და ქვისნახშირი—2,000 ფ.

შემოტანის უმთავრესი საგნები კი არის: ფქვილი—96,913 ფ., ქერი—11,007 ფ, მარილი—4,000 ფ, თამბაქო და მისი ნაწარმოები—4,471 ფ., თევზი—8,942 ფ., ცემენტი—4,600 ფ., შუშა—2 360 ფ., საამშენებლო ხე-ტყე—2,735 ფუთი და ლურსმანი—2,569 ფ.

სტატისტიკოსი.

როგორც მოყვანილი ცხრილიდანა სჩანს, წარსული წლის დეკემბერში, შედარებით იმავე წლის იანვართან, საქართველოს სამივე უმთავრეს ქალაქში საქონლის ყველა ჯგუფები გაძვირებულა, გარდა პურეულობის და ბოსტნეულობის თბილისში, რომელიც შედარებით 22 წ. იანვართან გაიაფებულა 30 პროც და 37 პროცენტით; გაიაფებულა აგრეთვე ქუთაისში ბოსტნეული 7 პროცენტით.

თუ საქონლის ფასების მერყეობას ჯგუფობრივ განვიხილავთ დავინახავთ, რომ წარსული წლის დეკემბერში, შედარებით იანვართან, თბილისში მაქსიმალურათ გაძვირებულა ტანსაცმელი და ფეხსაცმელი (267 პროც) და საბაკალეო სასურსათო საგნები (189 პროც.), ხოლო მინიმალურათ—რძეული და კვერცხი (49 პროც.) და ცხიმი (57 პროც); ამავე დროს გაიაფებულა-კი პურეულობა (30 პროც.) და ბოსტნეული (37 პროც.). აღნიშნული დროისათვის, ქუთაისში მაქსიმალურათ გაძვირებულა იგივე საგნები, რაც ტფილისში; სახელდობრ, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი (232 პროც.) და საბაკალეო სასურსათო საგნები (201 პროც.), ხოლო მინიმალურ გაძვირებას განიცდის პურეულობა (26 პროც.) ცხიმი (55 პროც.) და რძეულ-კვერცხი (55 პროც), ბოსტნეულობა-კი ამ დროისათვის 7 პროც. არის გაიაფებული შედარებით იანვართან. რაც შეეხება ბათომს, მაქსიმალური გაძვირების ობიექტი ყოფილა აქ იგივე საგნები, რაც თბილის ქუთაისში, ანუ საბაკალეო სასურსათო საგნები (252 პროც.) და ტანსაცმელ-ფეხსაცმელი (201 პროც.) მინიმალურათ-კი გაზრდილა ფასები პურეულის (8 პროც.) და ხორცის (14 პროც.), ხოლო ბოსტნეულის ფასები დარჩენილა იანვრის ფასის დონეზე.

ამნაირათ, წარსული წლის დამლევს—დეკემბერში, საქართველოს ყველა უმთავრეს ქალაქებში ფასები ძალიან გაძვირებულა ტანსაცმელზე და საბაკალეო სასურსათო საგნებზე, სწორეთ იმ საქონელზე, რომელიც საზღვარგარეთიდან შემოდის საქართველოში. სწორეთ ამის მიზეზით აიხსნება, რომ მათი გაძვირების ტემპი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიიმართება (ბათომი—201 პროც., ქუთაისი—232 პროც. და ტფილისი—267 პროც) იმ დროს, როდესაც სასურსათო საგნების გაძვირების ტემპი საწინააღმდეგო მიმართულებით მიმდინარეობდა, საქართველოს აღმოსავლეთ თუ ჩრდილოეთ ქვეყნებიდან მომარაგების ზეგავლენით (თბილისი 189 პროც, ქუთაისი—201 პროც. და ბათომში—252 პროც).

როგორც ზევითაც იყო აღნიშნული მიმდინარე წლის იანვარში, შედარებით წარსული წლის დეკემბრისა, სამივე ქალაქში საქონლის გაძვირება იყო საერთო, მაგალითად, ტფილისში 79 პროც, ქუთაისში 45 პროც. და ბათომშიც 19 პროც.

ამ დროისათვის თბილისში მაქსიმალურათ გაძვირებულა შედარებით დეკემბერთან არა სასურსათო საგნები (154 პროც) და ცხიმი (123 პროც.), ხოლო მინიმალურათ გაძვირება განუცდია პურეულობას (35 პროც.) და ხორცეულს (39 პროც.); ამავე დროს ქუთაისში მნიშვნელოვანად გაძვირებულა ბოსტნეული (144 პროც.) და საბაკალეო არა სასურსათო საგნები (76 პროც.), ხოლო უმნიშვნელოდ გაძვირების ობიექტს შეადგენს საბაკალეო სასურსათო საგნები (40 პროც.) ცხიმი (51 პროც.) და ხორცეული (54 პროც); რაც შეეხება ბათომს, აქ სულ სხვა საგნებია გაძვირებული, ვიდრე თბილისში იმ დროს, როდესაც ნაწილობრივათ ქუთაისს უკავშირდება ბოსტნეულის მაქსიმალური გაძვირებით (113 პროც), გაძვირებულია აგრეთვე შესამჩნევათ განათების საგნები (86 პროც.), ხოლო უმნიშვნელოთ რძეულ-კვერცხი (41 პროც) და საბაკალეო არა სასურსათო საგნები (45 პროც) იმ დროს, როდესაც ხორცეულის ფასი 10 პროც. დაეცა დეკემბრის ფასებთან შედარებით. ამნაირათ, თებერვალში იანვრის მაქსიმალურათ გაძვირების საგნების სია ირღვევა. თბილისში თუ უკიდურესად გაძვირების საგნებს წარმოადგენს საბაკალეო,არა სასურსათოსგან დ ცხიმი, ბათომში ამ დროს გაძვირების ობიექტს წარმოადგენს ბოსტნეული და განათების საგნები, ხოლო ქუთაისი ამ ორი ქალაქის შემაკავშირებელ როლში გამოდის და ბოსტნეულის მაქსიმალური გაძვირებით თუ ბათომს უკავშირდება, საბაკალეო არა სასურსათო საგნების გაძვირებით უკვე თბილისთან კავშირს გვიჩვენებს.

თუ ზევით მოყვანილი ცხრილის უკანასკნელი ხანის განხილვაზე გადავალთ, ჩვენ ვხედავთ, რომ თებერვალში, შედარებით იანვართან, ბევრ საგნებს მნიშვნელოვანი გაიაფება ეჩნევა სამივე ქალაქში, ხოლო დანარჩენ გაძვირებულ საგნებ სათვის გაძვირების ტემპი მნიშვნელოვანათ შენელებულა და ამიტომ, საერთო გაძვირება, შედარებით იანვართან თებერვალში, უმნიშვნელოა. მაგალითად, თბილისში—8 პროცენტით, ქუთაისში—4 პროც. და ბათომშიც—2 პროც.

მერე სახელდობრ, რომელი საგნების გაიაფებით და რომელი გაძვირებული საგნების გაძვირების ტემპის შენელებით არის გამოწვეული აღნიშნული მოვლენა?

თბილისში, შედარებით იანვართან თებერვალში გაიაფებულა ტანსაცმელი და ფეხსაცმელი (39 პროც.), საბაკალეო არა სასურსათო საგნები (12 პროც) დ რძეულ-კვერცხი-კ (3 პროც) ამავე დროს უმნიშვნელოთ გაძვირებულა განათების საგნები (5 პროც) და საბაკალეო არა სასურსათო საგნები (9 პროც), ხოლო მაქსიმალურათ აწეულა ფასებში ხორცეული (116 პროც.), ბოსტნეული, როგორც სეზონური საგანი (47 პროც) და პურეულობაც (39 პროც.). ამავე დროს ქუთაისში გაიაფებულა ტანსაცმელი და ფეხსაცმელი (23 პროც.), პურეულობა (17 პროც.), საბაკალეო არა სასურსათო საგნები (9 პროც.) და განათების საგნებიც (3 პროც.); მინიმალური გაძვირების ობიექტი ყოფილა ბოსტნეული (7 პროც) და საბაკალეო სასურსათო საგნები (8 პროც), ხოლო მაქსიმალური—ცხიმი (39 პროც.) და რძეულ-კვერცხი (26 პროც.). რაც შეეხება ბათომს, თებერვალში აქ მაქსიმალურათ გაძვირდა ცხიმი (38 პროც.) და ხორცეული (27 პროც.), ხოლო მინიმალურათ საბაკალეო სასურსათო საგნები (1 პროც.) და პურეულობა (5 პროც.), გაიაფდა-კი ბოსტნეული (14 პროც.), საბაკალეო არა სასურსათო საგნები (5 პროც.) და ტანსაცმელ-ფეხსაცმელი (2 პროც.). ამნაირათ, თებერვლის განმავლობაში, საქართველოს სამივე უმთავრეს ქალაქში გაიაფებულა ტანსაცმელ-ფეხსაცმელი და საბაკალეო არა სასურსათო საგნები იმ დროს, როდესაც ზოგიერთ ქალაქებში გაიაფების საგნებს შეადგენდა აგრეთვე პურეულობა, ბოსტნეულობა და განათების საგნები. რაც შეეხება დანარჩენ საქონლის ჯგუფებს, მათზე მნიშვნელოვანათ შენელდა გაძვირების ტემპი იანვართან შედარებით. შემდეგში თუ რა მიმართულებას მიიღებს საბაზრო ფასების მერყეობა საგრძნობლათ იმა თუ იმ ჯგუფის საქონლისთვის ცალ-ცალკე, ამაზე ლაპარაკი ჯერჯერობით შეუძლებელია სათანადო ცნობების უქონლობის გამო, საერთოთ-კი, მათი სიმტკიცე უმთავრესად დამყარებულია ფულის კურსის სიმტკიცეზე.

ლ. ქ.

ქრონიკა

კომისართა საბჭოში.

— **სამაზრო აღმასკომების დათვალიერება.** სახ. კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად 17 აპრილს დასავლეთ საქართველოში გაემგზავრა ყველა კომისარიატების წარმომადგენლობისაგან შემდგარი საგანგებო კომისია სამაზრო აღმასკომების დასათვალიერებლად და სარევიზიოთ.

ქალაქის აღმასკომში

— **ქალაქის აბანოებში.** აბანოების მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრებამ 15 აპრილს დაადგინა იმუშაონ კვირას, 22 აპრილს და მთელი შემოსავალი გადასდონ მუშათა სახლის „არაზინდის“ და წითელი საჰერო ფლოტის სასარგებლოდ.

განათლების კომისარიატში.

— **მცირე წლოვანთა საქმეების განმხილველ კომისიაში.** განათლების კომისარიატთან არსებულ მცირე წლოვანთა საქმეების განმხილველ კომისიაში 1922 წლის განმავლობაში შემოვიდა განსახილველად სხვადასხვა დანაშაულობის ჩამდენთა შესახებ სულ 1419 საქმე. აქედან 29 საქმე შემდგარი იყო მკვლელობის განზრახვისათვის, 17—ავაზაკობისათვის, 6—გაძარცვისათვის, 1186—ქურდობისათვის, 31—კვალიფიკაციურ ქურდობისათვის, 3—სპეკულიაციისათვის, 128—სხვადასხვა სისხლის დანაშაულობისათვის, 19—უზნეობისათვის.

— **„ჯეჯილი“.** განათლების კომისარიატის სოც. აღზრდის მთავარმმართველობის სალიტერატურო-სამხატვრო სექციის ხელმძღვანელობით გამოვიდა საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ მოზრდილთათვის. ჟურნალი ჩვეულებრივი შინაარსითაა შედგენილი და დასურათებული.

შრომის ბირჟა.

— **უმუშევართა უფასოთ გაგზავნა რუსეთში.** თბილისის შრომის ბირჟა აცხადებს, სამშობლოში წამსვლელ უმუშევართა საყურადღებოთ, რომ ასეთები უნდა ჩაეწერონ ბირჟასთან არსებულ სათანადო სექციაში, რის შემდეგ გაგზავნილნი იქნებიან ნაჩვენებ ადგილებში.

— **უმუშევართა რაოდენობა.** 17 აპრილს თბილისის შრომის ბირჟაში ირიცხებოდა 1357 უმუშევარი, ამათგან 746 კაცი და 611 ქალი. ამავე რიცხვში აღრიცხული იქნა 112 კაცი. 49 ქალი. მოთხოვნილებისამებრ სამუშაოზე გაგზავნილი იქნა 52 უმუშევარი, 39 კაცი და 13 ქალი.

რკინის გზაზე.

— **ქარხნის დახურვა.** ა.-კ. რკინის გზების მუშათა კოოპერატივის გამგეობამ დაადგინა ძეხვების ქარხანა, რომელიც იმყოფება ქალაქის გარეთ, გადმოიტანოს ცენტრში ტფილისში, რათა უფრო გაადვილებულ იქნეს ქარხნისათვის საჭირო მასალების მიწოდება.

— **პური და პურის ფქვილი.** ამავე კოოპერატივის გამგეობამ მუშა-მოსამსახურეებისათვის დასარიგებელ პურის ფქვილზე დააწესა 800.000 მ ფუთზე. ხოლო გირვანქა გამომცხვარ პურზე 15 ათასი მ.

გამომცემლობა.

— **ახალი წიგნები.** ს. კ. პარტიის ცენტრ. კომიტეტის საგამომცემლო განყოფილებამ გამოსცა ან. ლოგინოვის წიგნი „მეცნიერება და სამღრთო წერილი“ ქართულ ენაზე. განყოფილება ამზადებს დასაბეჭდათ აგრეთვე ბუხარინის, პლეხანოვის, სტალინის, ლაფარგის და სხ. ცნობილ სოც. ლიდერების ნაწერებს ქართულ ენაზე.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა.

მომღერალ საბინინის ბენეფისი

ჩვენ საოპერო სცენაზე განახლდა მუსორგსკის ოპერა „ბორის გოდუნოვი“ ლაპარაკი რომ იყოს თუნდაც საშუალო ღირსების მუსიკალურ ნაწარმოებზე, მე მაშინ ოპერის დადგმას და შესრულებას—ისეთს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა მომღერალ საბინინის საბენეფისო საღამოზე, მისაღებად ჩავთვლიდი. მაგრამ მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი“—ხომ ნამდვილი გენიალური ნაწარმოებია—ეს თავის დარგში „უნიკუმია“ და ამიტომ ამ ნაწარმოებს ჩვენ თითქოს სამაგალითო საოპერო სცენაზე დადგმის შეფასებას უფრო სერიოზული და დასაბუთებული მოთხოვნილებებით შევუდგებით. სამწუხაროთ უნდა ვაღიაროთ, რომ ყველა ამსრულებელნი ვერ იდგენ ამოცანის სიმაღლეზე, ხოლო ოპერის დადგმა არ შეიძლია ჩავთვალო საკმაოთ ზედ მიწევნითად. დავიწყოთ ორკესტრიდან, რომელსაც მუსორგსკიმ თავის საუკეთესო ნაწარმოებში დაუთმო კარდინალური ადგილი. უპირველესად ყოვლისა ჩემის აზრით, „ბორის გოდუნოვი“ არის არა ოპერა ნამდვილი ამ სიტყვის მნიშვნელობით, ეს უფრო მუსიკალური დრამაა, რომელიც აღებულია რუსეთის ისტორიის სინამდვილიდან.—და მუსორსკის გენიალურმა ნაწარმოებმა მშვენივრად დაასურათა მოქმედება და ხანა—მუსიკალურ ფორმებით. დირიჟორი ბრონი, რომელიც ლოტბარობდა ამ საღამოს ორკესტრს, როგორც სჩანს, საკმაოდ დეტალურად არ გასცნობია პარტიტურას. მოსკოვის საყდრების ზარების რეკა ბორისის მეფედ კურთხევის დროს—პარტიტურის ერთად ერთი ორიგინალური და ლამაზი სურათი სრულიად დაიკარგა, რადგან ორკესტრი არა რიტმიულად უკრავდა და თანასწორ ხმებს არ იძლეოდა. პროლოგის გუნდის ყველა ნომრები და „დიდება“ ოპერის პირველ სურათში ჩატარდა უსიცოცხლოთ და მკრთალად. მემატიანე პიმენის სცენა მოითხოვს სტილის დაცვას (ორკესტრი ხმაურობს) სუსტი იყო დუეტი აღმზრდელის და მეფის მემკვიდრის თეოდორისა (აქ ხალხური სიმღერა „კოლოზე“ და დუეტი ძალიან აჩქარებული ტემპო-თი სწარმოებს—ორკესტრი აქაც არა რიტმიულად და ხმამაღლა უკრავს. ბორისის არიოზო მეორე აქტში მოითხოვს უფრო ნაზ აკომპანიმენტს. ოპერის მეორე ნაწილი დაწერილია მუსიკის პოლონურ სტილით,—ეს საჭიროა აღინიშნოს. ასე მაგ. გაუმეღავათ ტარდება სცენა მარინა მნიშეკის მოსამსახურე ქალებთან მარინის და ცრუ დიმიტრის დუეტი შადრევანთან ეს ყველაზე პოეტური ადგილია ოპერაში—უნდა შესრულდეს tempo largo და legato აქ მელოდია ძალიან ლამაზია. აქ ბრონი იღებს აჩქარებულ ტემპს. აი ორკესტრის ნაკლოვანებანი. ცხადია ჩვენ საოპერო თეატრთან არის სამხატვრო ნაწილის გამოცდილი გამგე და თუ ეს ასეა, მაშინ როგორ უნდა დაიდგას ასეთი ნაწარმოები ხანასთან და სტილთან გაუცნობლათ. ჯერ—ერთი საზეიმო პროცესიებში ქალების მონაწილეობა ძველ რუსეთში დაუშვებელი იყო. რა საჭიროა აქ 4 ქალი და ისიც ასეთ ძველ ტანთსაცმელებში. ხოლო ბორისის გარდაცვალების დროს ავადმყოფთან იყვენ მისი ცოლი დ ქალიშვილი, რომელნიც მაშინ ჯერ კიდევ ცოცხლები იყვენ და დაიღუპნენ მხოლოდ ბორისის გარდაცვალებიდან 4 დღის შემდეგ,—მაგრამ სცენაზე ისინი არ არიან. შემდეგ „ჩუდის მონასტერი“ მოსკოვში სადაც იმალება ავანტიურისტი გრიგოლი ოტრეპიევი (ცრუ-დიმიტრი) ეს დღესაც არ არის თვალსაჩინო შენობა და 500 წლის წინად მით უმეტეს და ბნელ, პატარა სენაკის ნაცვლად ჩვენ ვხედავთ ტაძარში შესადალს კათოლიკურ სტილით, ამ სცენის მთელი საიდუმლოება იკარგება. შემდეგ—რატომ აცვიათ მარინას მოსამსახურე ქალებს გერმანელ ქალების კოსტიუმები და არა პოლონური ტანთსაცმელი. გამოტოვებულია ცნობილი სცენა როდესაც ცრუ—დიმიტრი თითქმის უკვე შესულია მოსკოვში სკოპიმშუისკის და ბორისის ჯარების ღალატის შემდეგ. ბენეფიციანტს ჯერ კიდევ დეტალურად არ დაუმუშავებია პარტია. პირველი არიოზო „скорбит душа мая“ საუკეთესო არიოზო თითქმის შეუმჩნევლად ჩატარდა—ამას მე მომღერალის ავადმყოფობით ვხსნი,—შემდეგ ბორისის საუკეთესო სცენა „достиг я высшей власти“ და მთელი სცენა ვასილ შუისკისთან სცენიურობის მხრივ საკმაოდ არ არის შესრულებული,—მსახიობს არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ ბორისი ჯერ კიდევ მბრძანებელია, ერთმა მან იცის, რომ შუისკი მისი მტერია—აქ არიოზო სრულიადაც არ მოითხოვს ფართო „კანტილენას“—იგი უნდა იქნას შესრულებული „მელოდეკლამაციის“ სტილით. საჭიროა უფრო დასრულებული ფრაზიროვკა—ბორისი აქ ძალიან ბედნიერია. უკანასკნელი სურათი ჩაატარა მსახიობმა უკეთესად. აქ ბორისი უკვე ნახევრად შეშლილი მანიაკია და ამას რეალურად გვისახავს მომღერალი საბინინი. მეტე ბორისის გარეგნობაც არ იყო საკმაოდ დამაკმაყოფილებელი საბინინის ჯადმოცემაში, არ იყო მოსაწონი არც გრიმი პირველ და უკანასკნელ აქტებში (გადის 7 მშფოთვარე წელიწადი ბორისის ცხოვრებაში):

ვერ მოგვცა მოლოდინის წინააღმდეგ, ამაყ მარინა მნიშეკის სახე მსახიობმა ქალმა მეხტაროვამ. მე ვფიქრობ მას ჯერ კიდევ დაუმუშავებია ეს პარტია პირველი არიოზო, როდესაც მარინა ოცნებობს მოსკოვის ტახტზე (temno de mozurk) უფრო გაბედულად უნდა იქნას შესრულებული; დუეტი და მეორე არიოზო—უნდა იქნას შესრულებული უფრო ნაზად (largo) -სცენა რანგონთან აგრეთვე არ აქვს დამუშავებული, აქ საჭიროა სულიერი განწყობილების ცვალებადობა.

მომღერალი აგრანოვსკი ავანტიურისტ-გრიგოლის ტიპიური განსახიერებაა და საკმაოთ იცავს სტილს ცრუ-დიმიტრის როლში. ყველაზე უკეთესად ასრულებს სცენას ლიტვის საზღვართან კორჩმაში. მომღერალის ხმა ლამაზია. მომღერალ კრივანოვსკის—რანგონას სევდა არ არის სისწორით გადმოცემული.—იეზუიტის ჯაშუშის ტიპი, რომელიც გაგზავნილია ხარკოვში, რათა გავლენა მოახდინოს მოსკოვის მომავალ დედოფალზე და კათოლიკობა მიაღებინოს რუსის ხალხს,—კრივანოვსკი უნდა იცვლიდეს სულიერ განწყობილებას უნდა ეროდოს ერთფეროვან მანიპულიაციებს. არ იყო სავსებით მოსაწონი გრიმიც. ძალიან კარგად ასრულებს პიმენის პარტიას მომღერალი შარაშიძე. კარგი იყო დემიანენკო მაწანწალა ვარლამის როლში, აგრეთვე კარგია მსახიობი ქალი სტრიჟკოვა შინკარკის პარტიაში. მომღერალი ქალი ერმოლინსკაია ძალიან გვანდა ქალს თეოდორეს როლში, მაშინ როდესაც ისტორიული ცნობების მიხედვით ბორისის ვაჟიშვილი იყო ღონიერი ჭაბუკი. ქსენია ცაგარელი პოეტურია. ტიპიურია აღმზრდელის როლში დობრჟანსკაია. მომღერალმა იგონინმა ვერ მოგვცა ვასილი შუისკის ტიპიური განსახიერება—[illegible] გარძვერა კარის კაცისა.

გუნდი [illegible] საკუთრივ პროლოგში და „დიდებას“. კარგია გუსლიარების გუნდი.

მუსიკოსი.

— **გრიგოლ რობაქიძის საღამო.** 22 აპრილს, სახელმწიფო ოპერაში, საზღვარ გარეთ გამგზავრების წინ გაიმართება გრიგოლ რობაქიძის საღამო. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ მწერლები და ოპერის და დრამის საუკეთესო ძალები.

— **შალვა კარმელის ლექსების წიგნი** სრულიად საქართველოს ახალი მწერლობის კავშირმა დაადგინა გამოსცეს პოეტის შალვა კარმელის ყველა ნაწერები ორ ტომათ პირველ ტომში მოთავსებული იქნება პოეტის ბიოგრაფია, კრიტიკული წერილები და დაახლოებით 200 ლექსი. მეორე ტომში—ამდენივე ლექსი. აგრეთვე გამოცემული იქნება ცალკე წიგნად მის მიერ თარგმნილი ფრანგი პოეტები.

— **მსახიობ მესხეთელის ბენეფისი.** დღეს, ყოფ. ქართ. კლუბის თეატრში გაიმართება ახალგაზრდა მსახიობის მესხეთელის ბენეფისი. წარმოდგენილი იქნება ტუგანოვის რეჟისორობით „მხიარული კომედია“.

— **ავლაბრის თეატრი.** ავლაბრის თეატრთან დაარსდა მუშა სცენის მოყვარეთაგან დრამატიული წრე, აღნიშნულმა წრემ უკვე დაიწყო მუშაობა და 14 აპრილს დაიდგა პირველი წარმოდგენა „ორი ობოლი“.

— **ცენტრალური მუშათა კლუბი.** ცენტრალურ მუშათა კლუბში დროებით შეწყდა ქართული წარმოდგენები.

პროფკავშირებში

აფხაზეთის პროფკავშირთა საბჭოს მოქმედება.

საკავშირო კონფერენციების მოწვევა. პროფკავშირთა პასუხისმგებელ მდივნების თათბირმა საჭიროდ დაინახა კავშირთა კონფერენციების მოწვევა გამგეობათა ხელახლა ასარჩევად. წინასწარ მზადების შემდეგ მარტის ბოლო რიცხვებში ჩატარებულ იქნა კონფერენციები ყველა კავშირებში.

საწევრო ანარიცხის პერსონალურად შეტანა. საქ. პროფკავშირთა საბჭოს ცირკულიარის თანახმად, აფხაზეთის პ. კ. ს. შეუდგა საწევრო ანარიცხების პერსონალურად შეტანის კომპანიის ჩატარებას.

შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების მოწყობა. საანგარიშო თვის განმავლობაში ა. პ. კ. ს. სატარიფო-ეკონომიურ განყოფილების ყურადღება განსაკუთრებით შემფასებელ საკონფლიქტო კომისიების დაარსებაზე იყო მიქცეული.

კულტ-მუშაობა. ა პ. კ. ს. კულტ-განყოფილებამ დაადგინა სრული ლიკვიდაცია უქნას წერა კითხვის უცოდინარობას პროფკავშირთა წევრთა შორის პირველ მაისისათვის; მარტის განმავლობაში გაიხსნა კიდევ ერთი სარაიონო სკოლა.

კლუბების მუშაობა მტკიცდება. ეწერება ახალი წევრები, არსდება პოლიტწრეები. ოჩემჩირის რაიონში გახსნილ იქნა კიდევ ერთი მუშათა კლუბი. სამურზაყანოს მაზრაში კლუბის გახსნისათვის მიღებულია ყოველგვარი ზომები.

სენაკის მაზრის პროფბიუროში.

უმუშევართა ფონდი. სენაკის მაზრის პროფბიუროს პრეზიდიუმმა ცალკე კავშირების გამგეობებს დაავალა დაარსონ კავშირებში უმუშევართა მუდმივი ფონდი.

კოლექტიური ხელშეკრულება. პროფბიურომ დასდო კოლექტიური ხელშეკრულება შემდეგ დაწესებულებებთან: ჯანმრთელობის განყოფილებასთან, სარაიონო კოპერატიულ კავშირ „სახალხო სიმაგრე“-სთან, აბაშის კოოპერატივ „მეტოქე“-სთან და განათლების განყოფილებასთან.

სოფ. მარანის ხე-ტყის ქარხანა. პროფბიურომ შუამდგომლობა აღძრა საქ. პროფ. კავშირთა საბჭოს წინაშე, რათა ს. მარანში არსებულ „საბრავოიაკას“ ხე-ტყის ქარხანაში მომუშავე მუშები მიმაგრებულნი იქნენ სენაკს მაზრის პროფბიუროსთან და იქვე დაარსდეს, ხე-ტყის დამმუშავებელთა კავშირის განყოფილება.

ფართლეულობის მიცემა მუშებისათვის. პროფბიურომ ადგილობრივ ტრანსპორტის მუშებს დაურიგა საცვლები და შარვალ-ხალათები.

მუშათა სახლებისათვის. პროფბიურომ შუამდგომლობა აღძრა საქ. პროფ. კ. ს. წინაშე, რათა დამშეულთა სასარგებლოდ დარჩენილი თანხა გადარიცხულ იქნას სენაკის მუშათა სასახლის შესაკეთებელ ფონდის გასაძლიერებლად.

ბეჭდვითი საქმის მუშაკთა სექციაში 20 მაისს მოწვეულია ბეჭდვითი საქმის მუშაკთა სექციის გაფართოებული თათბირი, რომელზედაც დაესწრებიან პროვინციის წარმომადგენლები 25 მაის კი ამიერკავკასიის თათბირი.

წითელ ჯარში

ანტი-რელიგიური საღამო.

19 აპრილს ცენტრალურ კლუბში გაიმართა ანტირელიგიური საღამო. გამოფენილი იყო ანტირელიგიური მუზეუმის ნივთები. სცენაზე გაიმართა წირვის ინსცენიროვკა, რამაც ბევრი აცინა წითელ-არმიელნი. შემდეგ ახადეს კუბო „წმინდანის“ ნეშტისა და შიგ აღმოჩნდა გამოფიტული კაცის თავი და ნაგავი. საღამოს აუარებელი წითელ-არმიელი დაესწრო და ნასიამოვნები დაიშალა.

საქართველოს მთლიან სამხ. კოოპერატივის რწმუნებულთა ყრილობა

14 აპრილს საღამოს 6 საათზე ცენტრ. არმ. კლუბში გაიხსნა მთლიან სამხედრო კოოპერატივის რწმუნებულთა ყრილობა.

ყრილობა გახსნა მთლიან სამხკოპის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ებრაელიძემ, რომელმაც წინადადება მისცა ყრილობას აერჩია პრეზიდიუმი. არჩეულ პრეზიდიუმში მოყვნენ: ამხ. თ. ელენტი, ჯაფარიძე, ზვიადაძე და სხვ.

ყრილობას მიესალმნენ ამხ. მიხა ცხაკაია, მალაქია ტოროშელიძე, თენგიზ ელენტი და სხვ.

მისალმების შემდეგ ყრილობა გადავიდა მორიგ საკითხებზე.

კლუბის მუშაობის გამოცოცხლება.

მეორე ლეგიონში კლუბის მუშაობას ბოლო ხანს გამოცოცხლება დაეტყო. ამუშავდნენ როგორც დრამატიული წრე, აგრეთვე სხვა წრეებიც.

კინო წითელ არმიელთათვის.

ლეგიონის კლუბში სისტემატიურად მოწყობილია კინო-სეანსები. ამ ბოლო ხანს აჩვენებენ დ. შონქაძის პოემის სურათს „სურამის ციხეს“ წითელ არმიელნი კინო სეანსებზე უფასოდ დადიან, მხოლოდ გარეშე ხალხი კი იხდის ბილეთის ფულს, ასე რომ კლუბს სეანსებიდან შემოსავალიც აქვს.

სამკითხველო.

ამავე ლეგიონის სამკითხველო ნამეტან უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება. საჭიროა სათანადო ყურადღება მიექცეს მას.

დრამატიული წრე.

დრამატიული წრე, რომელიც მეტ წილათ წითელ არმიელებისაგან შედგება სისტემატიურად მართავს წარმოდგენებს. წრის თანამშრომელთა აშკარა მუშაობა ეტყობათ, რადგან მათი წარმოდგენები ტოვებენ დამაკმაყოფილებელ შთაბეჭდილებას.

გაზ. წითელ-არმიელი.

ტექნიკურ დაბრკოლებების გამო ქართულ დივიზიის ორგანო გაზ. წითელ-არმიელი გამოდის კვირაში მხოლოდ ორჯერ.

„სულელი“.

7 აპრილს პირველ ლეგიონში დრამწრის მიერ წარმოდგენილ იქნა ნ. შიუკაშვილის პიესა „სულელი“. წარმოდგენამ, რომელშიაც მეტ წილათ წითელ არმიელნი ღებულობდნენ მონაწილეობას. მწყობრად ჩაიარა წარმოდგენამ მრავალი წითელ-არმიელი დაესწრო.

გურიაში მყოფ ჯარის ნაწილების ცხოვრებიდან.

კრებები.

ნაწილებმა მოაწყვეს ათი კრება, მათ შორის ორი შეერთებული ადგილობრივ მცხოვრებთან. ჩატარებულ იქნა ოცი პოლიტ-საათი.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

ნაწილებში მოხდა წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია.

სამწყობრო მეცადინეობა.

სამწყობრო მეცადინეობა მიმდინარეობს ნორმალურად. წითელ-არმიელნი იჩენენ დიდ ხალისს სამხედრო მეცადინეობაში.

სამაგალითო მასწავლებელი.

დივჰოსპიტალის წითელ-არმიელნი გულწრფელ სალამს და მადლობას უგზავნიან თავის სამაგალითო მასწავლებელს ანეტა ჯინჭარაძის ასულს, რადგან მან თავის საქმისადმი სერიოზული მოპყრობით, ენერგიული მუშაობით შეაყვარა წითელ-არმიელთ სწავლა-განათლება და დაიმსახურა საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა.

მუშათა ცხოვრება

ბინის საკითხი

ბინის საკითხი ისევ მწვავედაა წამოჭრილი ჩვენს წინაშე, რასაც საკმაოდ გრძნობენ თვით პასუხისმგებელი ამხანაგებიც, მუშებიც და მოსამსახურეებიც. ყველაზე უარეს მდგომარეობაში ამ მხრივ არიან ფიზიკურ შრომის მწარმოებელ მუშები, რომელნიც დღემდე სცხოვრობენ ნესტიან სარდაფებში. მართალია, მუშების ერთ ნაწილს საბჭოთა ხელისუფლებამ მიუჩინა სათანადო ბინები, რა გარემოებამაც გაანთავისუფლა ისინი ნესტიან სარდაფებიდან, მაგრამ, მეორე ნაწილი კი მაინც განიცდის ნესტიან სარდაფებში წამებულ ცხოვრებას. ყველა ჩვენგანმა იცის, რომ საერთოდ საბჭოთა მუშამოსამსახურეებისათვის ბინების მიცემა და მათი ბინების გაუმჯობესება მოვალეობაა საბინაო განყოფილებისა. ბინის საკითხი ამ უკანასკნელ ხანებში უფრო მეტ სიმწვავით წამოიჭრა საბინაო განყოფილების წინაშე, ვიდრე ეს იყო დღემდე. ამის დამამტკიცებელი საბუთია ის მუდმივი გრძელი კუდები საბინაო განყოფილების წინ, აქ ყოველდღე კანცელარია ივსება ახალი მოთხოვნილებით, რის გამო შეუძლებელი ხდება შიგ მუშაობა, მასთან კანცელარიაში დაგროვილია აურიცხელი ძველი საქმეებიც, რომელნიც უცდიან თავის შედეგებს. შესაძლებელია, მკითხველი შემეკითხოს საბინაო კოოპერაციის წარმოშობის შესახებ, რომელსაც უნდა ეზრუნველყო მუშა-მოსამსახურენი ბინების მხრივ. ჩვენ ამაზე გულახდილად უნდა ვსთქვათ, რომ მას ჯერჯერობით მუშაობა არც კი დაუწყია და არც ვიცით, როდის დაიწყებს. მე აქ სრულებით არ ვეხები საბინ. კოოპერაციის დადებითი ან უარყოფითი მხარეებს, მე მინდა ამით ვსთქვა მხოლოდ ის, რომ ბინის საკითხი ამ ბოლო დროს ძალიან გართულდა და მის მომგვარებელ ორგანოს კი ჩვენ ჯერაც ვერ ვხედავთ. საბინაო განყოფილება დღითი-დღე მოელის ლიკვიდაციას და მის მუშაობას არ ეტყობა ძველებური მოყვაითობა და ხალისი. ყველა ეს გარემოება, როგორც წინეთ ვსთქვით, ბინის საკითხს ძალიან ამწვავებს და ართულებს. ამიტომ საჭიროა, თუ კი საბინაო განყოფილება მართლადაც დაადგა სალიკვიდაციო გზას, მას მიეცეს უფლება უარი უთხრას განცხადებების მიღებაზე ახალ მთხოვნელებს და შეუდგეს ის უკვე დიდი ხნით მიცემულ განცხადებების განხილვას და შეძლებისდაგვარად მოახდინოს ძველი მთხოვნელების დაკმაყოფილება. აგრეთვე საჭიროა, საბინაო კოოპერაცია სასწრაფოდ შეუდგეს თავის მოვალეობის ასრულებას, ვინაიდან დრო არ იცდის და ბევრი მუშა-მოსამსახურენი იტანჯებიან ცივ, უსინათლო და ნესტიან სარდაფებში.

მუშა—ბ.—ლიაშვილი.

მეტყავეთა შორის

ამა წლის 13 აპრილს ტყავის ქარხნებს ეწვიენ სასურველი სტუმრები — წითელი არმიელები, რომლებმაც დაწვრილებით დაათვალიერეს ყველა „ტყავმთავრის“ ქარხნები, გაეცნენ ადგილობრივ მუშების ეკონომიურ მდგომარეობას და მათი მუშაობის პირობებს. წითელ არმიელებს აინტერესებდა აგრეთვე წარმოების მექანიზმის ყოველი დარგი, რის შესახებ ისინი სათანადო ახსნა-განმარტებას ღებულობდენ მუშებისაგან.

დათვალიერების შემდეგ, წითელ არმიელებსა და მუშება შორის გაიმართა ძმური მუსაიფი. მუშები დიდათ აღფრთოვანებული იყვნენ სტუმრების მოსვლით. ორივე მხრიდან გამოვიდენ ორატორები, რომელნიც უხსნიდენ ამხანაგებს მუშებსა და წითელ არმიელთ შორის კავშირის მნიშვნელობას, მშრომელ ხალხის სამუდამო გამარჯვებისათვის. შრომის და იარაღის მჭიდროდ შეკავშირება და შეერთება დიდად შეუწყობს ხელს საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას

ამის შემდეგ ორ-ღვიძლი ძმები ერთმანეთს გამოემშვიდობენ იმ დაპირებით, რომ ისინი ერთად იქნებიან ჭირშიაც და ლხინშიაც და ხშირ-ხშირად ინახულებენ ერთმანეთსაც.

მუშ.-კორ. ცოციანოვი.

კულტმუშაობა სახელმწიფო ოპერის მუშებში.

შესამჩნევია ის განმანათლებელი მუშაობა, რომელიც აღნიშნულ მუშებს შორის ადგილკომს უწარმოებია საქართველოს გასაბჭოების აქეთ. ამ ორი წლის განმავლობაში აქ მომხდარა წერაკითხვის უცოდინარობის თითქმის სრული ლიკვიდაცია და ოპერის მრავალ რიცხოვან მუშებს შორის არის მხოლოდ ორი კაცი, რომლებმაც წერა-კითხვა არ იციან და ესეც აიხსნება იმით, რომ ისინი საკმაოდ მოხუცებულნი არიან და სწავლისათვის არც ღონე აქვთ და არც ხალისი. ამის გარდა აქ უკვე შემდგარია კულტურულ განმანათლებელი კომისია, რომლის დანიშნულებას შეადგენს ფართე მეცნიერული მუშაობის წარმოება მსახურთა შორის, როგორც მოზრდილებში, ისე მსახურთა მოზარდ ახალგაზრდობაში, რა მიზნითაც კომისია მართავს ლექციებს, სამეცნიერო დებატებს და სხვ. მეცნიერულ ცოდნის გავრცელების გარდა კომისია თავის მიზნათ ისახავს აგრეთვე ფართედ დააყენოს საზოგადოთ ხელოვნების და კერძოდ კი მუსიკის შესწავლის საქმე.

დიდი ინტერესობით მოქმედობს აქვე პოლიტიკური მეცადინეობის წრე, რომელიც ყოველ ორშაბათს და ხუთშაბათს სისტემატიურად იკრიბება და სათანადო გაკვეთილებს ისმენს პასუხისმგებელი პარტიულ ამხანაგებისაგან. თვით წრე 24 კაცისაგან შესდგება, რომელთაგან 10 პარტიული ამხანაგია, ხოლო დანარჩენი უპარტიონი. წრეში მეცადინეობა სწარმოებს ხალისით და შესამჩნევი ნაყოფიც მოაქვს მას ამხანაგ მუშებისათვის

ადგილკომის მეცადინეობითვე ამ უკანასკნელ დღეებში აქ გაიხსნა ბიბლიოთეკა ქართული და რუსული წიგნებით, საიდანაც მუშა მოსამსახურის შეუძლია წიგნებით უფასოდ სარგებლობა.

ადგილკომის მეცადინეობით აქაური მუშები ეწვევიან თითქმის ყოველთვის არამც თუ ოპერას უფასოდ, არამედ მათ ხშირად შეხვდებით სხვა თეატრებშიც უსასყიდლოდ.

ინფ კორ. ლ—ბერგ.

მუშის ხმა არ უნდა დარჩეს „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“

გაზეთ „კომუნისტ“-ის №17 ში დაიბეჭდა ღია წერილი, ჩემი ფსევდონიმით რომელიც მიმართული იყო შრომის დაცვის ინსპექციის, არტელ „კომუნის“ სალიკვიდაციო კომისიისა და ადგილკომისადმი. საჭირო არის იმ წერილს მიექციოთ ყურადღება სათანადო ორგანოებმა, ვინაიდან წერილი თავის შინაარსით ეხება, უმიზეზოდ მუშების დათხოვნას, სალიკვიდაციო ფულის მიუცემლობას და მათ ადგილზე სხვა პირების დაშვებას სამუშაოზე. თითქმის თვე სრულდება და ამ წერილის საპასუხოდ კი თავს არავინ იცხელებს. ამ წერილის აღარც კი ვახსენებდი, რომ საქმე გამოსწორებულიყო, მაგრამ მე ამას ვეღარ ვხედავ. ამიტომ მოვითხოვ ამ წერილს მიექცეს სერიოზული ყურადღება და ვისგანაც ჯერ არს დანიშნულ იქნეს კომისია, რომლის წინაშე მე შემ ძლია პასუხისმგებელიც ვიყო და კიდევაც დავამტკიცო ის უკანონობა, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლების დროს ადგილი არ უნდა ქონდეს. ამის გამო ჩემს ფსევდონიმს ვხსნი და აშკარად ვაღიარებ ჩემს ვინაობას საქმის ვითარების გამორკვევისთვის.

მათე თავბერიძე.

მუშათა ქრონიკა

კოლოფის ქარხანაში.

— ამა წლის 10 აპრილს აქ შესდგა მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 160 კაცი. კრებაზე გაირჩა შემდეგი საკითხები:

1) ვინ არიან მენშევიკები და ბოლშევიკები?

2) მიმდინარე საკითხები.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. მეძმარიაშვილმა, რომელმაც ყოველმხრივ დაასაბუთა და გააშუქა მენშევიკების გამცემლობითი პოლიტიკა. კრება ამისგამო მიღებულ რეზოლიუციაში ჰგმობს სავსებით მენშევიკების პოლიტიკას, უცხადებს მათ ზიზღს, და ზოგიერთ მათგანზე, რომელნიც დღესაც ვერ უბრუნდებიან მუშათა ოჯახს, ის გამოსთქვამს თავის გულისწყრომასაც.

— იმავე კრების მიერ, თანახმად ფაბკომის პლენუმის დადგენილებისა, ერთხმად მიღებულ იქნა—გაიღოს რურის მუშების და საბჭოთა საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ მათი ნახევარი დღის ხელფასი.

პროვინციაში

ანტისარწმუნოებრივი კამპანია ტფილისის მაზრაში

6 აპრილს სამშვილდოს საზოგადოების გლეხებმა თავი შეიყარეს მთელ რიგ მომწიფებულ საკითხების გასარჩევად. ერთ-ერთ მწვავე საკითხს ადგილობრივი გლეხებისათვის შეადგენდა სახალხო სახლის მოწყობის საკითხი. ეს საკითხი მტკიცედ იყო დაკავშირებული ადგილობრივ ეკლესიის საკითხთან, რადგან ეს ეკლესია ერთად-ერთი შენობაა რაიონში, რომელიც გამოდგება სახალხო სახლისათვის და საერთოდ კულტურული მუშაობისათვის, მოხსენება გააკეთა ადგილობრივი საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა რის შემდეგ ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია: „ადგილობრივი ეკლესია გადაკეთდეს სახალხო სახლათ, მისი შენობა გამოყენებული იქნას, როგორც თეატრისათვის, ისე საზოგადოების კულტურულ-განმანათლებელი მიზნებისათვის“.

დამახასიათებელია კრებაზე დამსწრე ერთ-ერთი მოხუცის სიტყვა, რომელმაც საბჭოს წევრის სიტყვის შემდეგ განაცხადა: „დეე, დაინგრას ეკლესიები ოღონდ ჩვენ განვთავისუფლდეთ სიბნელისა და უვიცობისაგან“. კრებას დაესწრო 250 უპარტიო გლეხი.

ასეთივე კრება გაიმართა სოფელ დაგეტ-ხაჩინში და დაესწრო 700-დი კაცი. გაკეთებული იქნა მოხსენება სარწმუნოებისა, და ეკლესიის სახალხო სახლათ გადაკეთების შესახებ. მოხსენების შემდეგ მიღებული იქმნა ისეთივე რეზოლიუცია, როგორც სამშვილდოს საზოგადოებაში. საინტერესოა ადგილობრივი მღვდელის გრიგოლ გრიგორიანცის გამოსვლა, რომელიც შეუერთდა კრების დადგენილებას, ამხილა სამღვდელოება და სთქვა, რომ „სამღვდელოების მოქმედება გამომდინარეობს არა ქრისტეს მოძღვრებიდან, არამედ კონტრ-რევოლიუციონურ პოლიტიკიდან“.

გორის მაზრა

პოლიტიკური განათლების განყოფილება

გორი. 18 აპრილი. ამ დღეებში გორში შესდგა პოლიტიკურ განათლების განყოფილებათა თათბირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ამ დარგის პასუხისმგებელ მუშაკებმა. ადგილებიდან მოხსენებებიდგან გამოირკვა, რომ მუშაობა დადგა ურყევ ნიადაგზე, რასაც ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ მიწის რეფორმების გატარების შემდეგ გლეხების ფართო მასები სავსებით დადგენ საბჭოთა პლატფორმაზე და ყოველგვარ მუშაობას დიდის აღტაცებით ხვდებიან. მოისმინეს საინსტრუქციო მოხსენებები პოლიტიკურ განათლების ყველა დაწესებულებათა მუშაობის შესახებ. რეზოლიუციაში ნაჩვენებია ყველა ის ღონისძიებანი, რომელნიც ხელს შეუწყობენ მუშაობის აწევას უფრო მეტ სიმაღლეზე. სხვათა შორის განზრახული პოლიტიკურ მუშაკთათვის, რომელნიც გამოიჩენენ განსაკუთრებულ ენერგიას და ინიციატივას, შემოიღონ განსაკუთრებული ჯილდო. თათბირზე ჩაეყარა საფუძველი სათეატრო ბიბლიოთეკას, უკვე შეუდგნენ სარეპერტუარო პიესების შეკრებას, გამომუშავებულია მთელს მაზრაში პოლიტიკურ განათლების დაწესებულებათა ქსელი, რომელთაც უნდა დაიწყონ მოქმედება 1923 წ. მაისის 15-დან. ამ სქემის თანახმად მაზრაში უნდა იქნეს (ბორჯომის რაიონის გამოკლებით) 14 ბიბლიოთეკა—სამკითხველო, 57 სამკითხველო და 13 სახალხო სახლი. აღნიშნულ დაწესებულებათა 70 პროც. უკვე მუშაობს და სრული განხორციელება ამ გეგმის არ წარმოადგენს არავითარ სიძნელეს. არის დაბრკოლებანი ფინანსების მხრივ, მაგრამ პოლიტ განათლების განყოფილება გამონახავს სათანადო საშვალებეს.

მოლითის თემი (შორაპნის მაზრა)

5 აპრილს შესდგა მთელი თემის მცხოვრებთა მიტინგი, რომელსაც დაესწრო 1,200 კაცი და ქალი.

დღის წესრიგში დასმულ იქნა: 1) რელიგია და მეცნიერება; 2) დღესასწაულების მოსპობა და 3) მიწის რეფორმების შედეგები 1-ლ და მე-2-ე საკითხზე ვრცელი მოხსენება გააკეთა აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. სიმონ ცუცქირიძემ. მოხსენება დიდათ შინაარსიანი იყო. ხალხმა მოითხოვა, რომ ამის შესახებ ეთქვა რამე ყოფილ მღვდელს ივანე ხატვრიშვილს (რომელიც ამ ჟამად გაპარსულია). მან შეასრულა ხალხის სურვილი და აუხსნა ყოველივე სიცრუე სამღვდელოებისა მშრომელი ხალხის წინაშე, რამაც დიდი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრე გლეხობაზე. მოხსენების შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. სიმონ ცუცქირიძისა, ჩვენ მშრომელი გლეხობა, დღემდე დაბეჩავებულნი და მღვდლების ზეგავლენით გონება დახშულნი, დავრწმუნდით, რომ სარწმუნოება მთელი ცრუ მორწმუნეობით იყო და არის მშრომელი ხალხის გონების საწამლავი და ბანგი გამოგონილი მუქთახორებისაგან თავიანთ საკეთილდღეოთ და მშრომელი ხალხის დასაშინებლათ. მთელი სამღვდელოება თავიანთი ლოცვა-კურთხევით მუდამ იყო კაცობრიობის წინსვლის შემაფერხებელი და ერთგული დამცველი მემამულე ბურჟუა-კაპიტალისტებისა. ამ უტყუარ სინამდვილეში დარწმუნებულნი ვადგენთ:

დახურული იქნეს მთელ მოლითის თემში მყოფი ეკლესიები რიცხვით 14. შენობები გამოყენებულ იქნეს სკოლებათ და კლუბებათ; მათთან ჩვენივე სურვილით მოსპობილ იქნეს ყველა, ეგრედ წოდებული, საეკლესიო საწვეულო დღეები.

ამ დღესასწაულზე მობრძანებულ სტუმრებს მიეცეს ხელში ნიჩაფ-წაკატები და აკეთონ იმ დღეს სასოფლო გზები“.

მე-3-ე საკითხის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა სათემო მიწის კომიტეტის წევრმა ამხ. ვანო ხადურმა, რომელმაც დაწვრილებით გააცნო საზოგადოებას თუ ვის ჩამოერთვა და ვის მიეცა მიწა.

სასურველია ახეთი მიტინგები და მოხსენებები იმართებოდეს უფრო ხშირად და სხვა თემებშიც.

ხ. ცუცქირიძე.

სენაკის მაზრა

„ალდგომა“

1923 წელი საბედისწერო შეიქნა „წმინდა მამათათვის“—სასულიერო პირთათვის. ძლიერმა გრიგალმა—მშრომელ გლეხ-კაცობის „რისხვამ“ მიწასთან გაასწორა საუკუნოებით ხალხზე გაბატონებული და მშრომელთა დამპონავებელი „უწმინდესი კონტრ-რევოლიუცია“ — სასულიერო წოდება თავიანთი ეკლესიებით. სენაკის მაზრას მშრომელ გლეხ-კაცობამ ამიერიდან ბოლო მოუღო თავის ერთ უძლიერეს მტერს—„ყოვლად წმინდა მამებს“.

ა | წ. თებერვლის თვეში შესწყდა სენაკის ყველა სოფლებში საეკლესიო ზარების გუგუნი, შესწყდა გუგუნი იმ ზარების, რომლებიც ასეული წლების განმავლობაში მონობისაკენ მოუწოდებდა მშრომელთ.

მშრომელმა ხალხმა პირი იბრუნა სამღვდელოებისა და ეკლესიისაგან.

— გლეხობა ნათლად დარწმუნდა რელიგიის არარაობაში და სამღვდელოების მატყუარობასა და გარყვნილებაში.

ძველი ეკლესიის ნანგრევზე აშენდა ახალი ტაძარი ახალი რწმენა: ტაძარი კულტურის მეცნიერების,—რწმენა მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვების.

ყველა ეკლესიები გადაკეთებულ იქნენ სასოფლო კლუბებად. ყველა კლუბებში უკვე მოეწყო წარმოდგენა, წარმოთქმულ იქნა სიტყვები რელიგიის წინააღმდეგ, მოხდა სამღვდელოების გასამართლება და სხვა.

ამიერიდან ტრადიციულმა დღესასწაულმა „ალდგომამ“ ამა წელს სულ სხვა სახე მიიღო. გლეხკაცობის ფსიხოლოგიაში და მსოფლმხედველობაში მოხდა უდიდესი გარდატეხა. დღესასწაულს არ ქონდა წინანდელი სახე. მიღებულ ცნობებიდან სჩანს, რომ მცხოვრებთა მხოლოდ 20 პროცენტი დღესასწაულობდა ამ დღეს ძველი სახით. საზოგადოების უდიდესი ნაწილი დღესასწაულობდა თავისი ნამდვილ განთავისუფლებას რელიგიის დამონავებისაგან, მისი ბრჭყალებისაგან. დარწმუნდა ყველა, რომ რელიგია მართლაც ოპიუმი ყოფილა, რომელიც საუკუნოებით სწამლავდა ხალხს.

ბევრს ეგონება, რომ ეს სააგიტაციოდ იწერება. ბევრი ამას არ დაიჯერებს, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს სრული სინამდვილეა.

7 და 8 აპრილს ყველა ყოფილ ეკლესიებში გამართულ იქნა წარმოდგენა და გაკეთებული მოხსენება ანტი-რელიგიური შინაარსისა. „კომკავშირის ალდგომა“ ჩინებულად ჩატარდა, ახალგ. კომკავშირის წევრები აქტიურად გამოდიოდენ და აკეთებდენ მოხსენებებს.

8 აპრილს ქ. ახ.-სენაკის საბჭოთა თეატრში „კომკავშირის ალდგომის“ შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. ვაშაყმაძემ; „რელიგიის და ღვთის წარმოშობის“ შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. ნადარეიშვილმა. იმ ღამეს საუცხოვოდ დადგმულ იქნა პიესა: „კომკავშირის ალდგომა“; კარგი შთაბეჭდილება დასტოვა „აპოთეოზმა“. დადგმულ იქნა აგრეთვე მოწაფეთა მიერ პიესა: „მწყემსების ცხოვრება“.

ვ. ნ—ლი.

გეჯეთის თემი

გეჯეთის თემის გლეხობამ თავისი 25 თებერვლის დღესასწაულზე დაადგინა „მთავარ ანგელოზს“ ჩამოართვას ეკლესია და გადააკეთოს თეატრად. რამოდენიმე დღის შემდეგ, 1 მარტს გეჯეთის თემის გლეხთა საბჭომ თავის სხდომაზე დაადგინა გააუქმოს წმინდა გიორგის ეკლესია და 3 მარტის მასიურ კრებაზე ხალხმა დასტური მისცა.

რას ნიშნავს ყველაფერი ეს? იმას, რომ კიდევ დაინგრა ორი უძველესი და უსაზიზღროესი შავ რაზმელთა სიმაგრე, სადაც მრავალ საუკუნოების განმავლობაში აურებელი მსხვერპლი აქვს შეწირული მუშათა კლასს.

გეჯეთელი.

ბიბლიოგრაფია

„კომუნიზმის დროშა“
№ 4—5 იანვარი თებერვალი.
(ს. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის საპოლიტიკო-სამეცნიერო ყოველთვიური ჟურნალი)

სერიოზული პერიოდიული ჟურნალი აუცილებლათ დიდ სამსახურს გაუწევს პროლეტარიატს იდეოლოგიურ ფრონტზე ბრძოლაში. მარტო ყოველდღიური ჟურნალ-გაზეთები და პოპულარული ბროშიურები ვერ დააკმაყოფილებს კომუნისტურ თვალსაზრისზე მდგომ მასებს. „კომუნიზმის დროშას“ ემსახურება მათი გონებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

ჟურნალის ეს № იწყება წერილით „იდეოლოგიური ფრონტი“, რომელიც ეკუთვნის ამხ. ფილიპე მახარაძეს. ავტორი ამ შედარებით მოკლე წერილში სავსებით აშუქებს იდეოლოგიურ ფრონტზე წამოჭრილ ამოცანებს, არკვევს გზას მათ გადასაჭრელათ, მიუთითებს ამხანაგებს ფრონტის სუსტ მხარეებზე და მოუწოდებს მათ მის გასამაგრებლათ. კ. მარქსის და ფრ. ენგელსის ისტორიული მატერიალიზმის თეორიამ გაფანტა ბურუსი, რომლითაც მოცული იყო ბურჟუაზიის მიერ „სულიერი კულტურა“ დაამტკიცა, რომ „არა შეგნება ადამიანთა განსაზღვრავს იმათ ყოფნა არსებობას, არამედ, პირიქით, მათი საზოგადოებრივი ყოფნა არსებობა განსაზღვრავს მათ შეგნებას“. „ამა თუ იმ დროს გაბატონებული იდეები ჟამდამ იყვნენ მხოლოდ გაბატონებული კლასების იდეები“. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ საბჭოთა ფედერაციაში გაბატონებულია პროლეტარიატი და ამის შემდეგ აუცილებლათ მისი იდეოლოგია უნდა გაბატონდეს ბურჟუაზიული იდეოლოგიის ნაცვლად. „ცოდნათა მონოპოლია“ უარყოფილ უნდა იქნეს, მეცნიერება ყველასათვის მისაწვდომი უნდა გახდეს; მართალია ამხ ფილიპე, როდესაც ამბობს: „რათა ჩვენ დავუახლოვდეთ ხალხის მასას და დავიმსახუროთ მისი ნამდვილი გულწრფელი ნდობა, ამისათვის აუცილებლათ საჭიროა საბჭოთა ხელისუფლების **პრაქტიკული შემოქმედებითი მუშაობა** (ხაზი ავტორისა). ვერავითარი სიტყვიერი პროპაგანდა ვერ იმოქმედებს ხალხზე ისე, როგორც რაიმე უბრალო ფაქტი საბჭოთა ხელისუფლების მუშაობისა ხალხის სასარგებლოთ“ (15 გვ.) შემდეგ ამხ. ფილიპე ეხება კამპანიების ჩატარებას, ანტისარწმუნოებრივ ქადაგებას, სახალხო განათლების მდგომარეობას, სადაც მოყავს საინტერესო ცნობები განათლების საქმის შესახებ რუსეთში და რამოდენიმეთ ჩვენშიც, ამბობს, რომ „ყველა სკოლები, მაღალი, საშუალო და დაბალი ხარისხის, ყველა კულტურულ განმანათლებელი დაწესებულებები ჩვენ უნდა გავხადოთ სოციალისტური და კომუნისტური იდეების გამტარებლებათ“. ქვევით განხილულია პრესის მდგომარეობა, სკოლები ფაბრიკა-ქარხნებისათვის და კურსები მოზრდილ მუშათათვის და სხვა. ამხ. ფ. მახარაძეს წერილი საყურადღებოა და ვისაც მიზნათ დაუსახავს იდეოლოგიურ ფრონტზე ბრძოლაში მონაწილეობა, მან აუცილებლათ უნდა წაიკითხოს ის.

მეორე წერილი „ბურჟუაზიული რევოლიუცია და რევოლიუცია პროლეტარული“ ეკუთვნის ამხ. ნ. ბუხარინს. ის არკვევს იმ პირობებს, რომელიც ახასიათებს გარდამავალ ხანას ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმისკენ, როდესაც მწიფდება ნიადაგი ბურჟუაზიული რევოლიუციისათვის. პროლეტარული რევოლიუციის წარმოშობის და მომწიფების პირობები განსხვავდება ბურჟუაზიულისაგან, თუმცა ეს ვერ შეუგნიათ მენშევიკებს და მათ ამყოლ დამყოლთ. „სოციალისტურ საწარმოვო ურთიერთობა ვერ მომწიფდება კაპიტალისტურ საზოგადოების წიაღსა და კაპიტალისტურ სახელმწიფოში „სავსებით“. ე ი. საწარმოვო ადმინისტრატიულ აპარატის ზედაფენიანათ“. (32 გ.) და ქვევით „ურთიერთობა ბურჟუაზიასა და ფეოდალურ მემამულეთა შორის არაა ურთიერთობა გაყვლეფილებსა და გამყვლეფელთა შორის“ (33 გ.) პირიქით პროლეტარიატის და ბურჟუაზიის ურთიერთობა „არის უპირველეს და უწინარეს ყოვლისა ეკონომიურ ექსპლოატაციის ურთიერთობა“. ბუხარინის წერილი მეტად საინტერესო აზრებს იძლევა პროლეტარული რევოლიუციის შესახებ და სრულებით აბათილებს კ. უცკის, ლევის, მარტოვის და სხვათა დებულებებს პროლეტარულ რევოლიუციის მოუმწიფებლობის შესახებ. ბუხარინის აზრით „იმპერიალისტური ომები ღაღადებს, რომ კაპიტალისტურ ბაზარზე მსოფლიო მეურნეობას არ შეუძლია შემდეგი განვითარება“ (27 გვ.). ბუხარინის წერილი დაუმთავრებელია და ალბათ ჟურნალის შემდეგ ნომერში ვიხილავთ მის დასასრულს, სამწუხაროთ ნათარგმნი ძალზე მოიკოჭლებს, კორექტურული შეცდომებიც ბლომათაა.

მესამე წერილი „მეტაფიზიკა ფილოსოფიაში“ ეკუთვნის ამხ შ დუდუჩავას, რომელშიც ის არკვევს მატერიალისტური მსოფლმხედველობის თვალსაზრისით სხვა და სხვა მეტაფიზიკურ მიმართულებათ ფილოსოფიაში, რომელთაც ვერავითარი დადებითი შედეგი ვერ მისცეს კაცობრიობის აზროვნებას, პროლეტარიატის იდეოლოგიის მღიარებელნი ყოველთვის შორს იყვნენ იდეალისტური და მეტაფიზიკური ფილოსოფიის სხვა და სხვა მიმართულებათაგან. ყოველგვარი „საკრამენტური კავშირი ღმერთთან“ და მისტიციზმი უაღრესად რეაქციონურია, ახალი ცხოვრების მშენებელი — პროლეტარიატი და მისი ბელადები ვერ გაიზიარებენ მას.

ამხ. მ. პოკროვსკი თავის წერილში „შიში სიკვდილის შიშისა და რელიგიის წარმოებითი მნიშვნელობა“ არკვევს რელიგიის წარმოშობის მიზეზებს და ამტკიცებს, რომ „რელიგიას საფუძვლად უძევს შიშის გრძნობა“ და მოყავს ძველი პოეტ ლუკრეციის ლექსი: „პირველი ღმერთები დედამიწაზე შექმნა შიშმა“.

თავის მოსაზრებებით ამხ. პოკროვსკი არ ეთანხმება ა. ბოგდანოვს, სტეპანოვს და ბუხარინს, და საკითხის გასაშუქებლად ის იძლევა მის განხილვას და დაასკვნის, რომ მეცნიერების „საბოლოო გამარჯვება სავსებით გამოაცლის ნიადაგს რელიგიას“.

ამხ. ექომაიშვილი თავის წერილში: „საბჭოთა სახელმწიფოს დამოკიდებულება კოოპერაციისადმი“ არკვევს კოოპერაციის მიზნებს და მდგომარეობას მენშევიკურ მთავრობის და საბჭოთა ხელისუფლების დროს. ავტორის აზრით, იმდენათ, რამდენათაც კოოპერაცია საბჭოთა სახელმწიფოს დაუკავშირდება და გაიზიარებს მის ამოცანებს ეკონომიურ ცხოვრებაში, მის წინ ფართო პერსპექტივები იშლება, ის სრულ დახმარებას მიიღებს და ღებულობს სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოებისაგან. მენშევიკები კი კოოპერაციას მტრულათ უყურებდენ, ამის უტყუარი საბუთი და მოსაზრებანი მოიპოვება, უმთავრესი მათგანი კიდეც მოყავს ავტორს თავის წერილში.

უკანასკნელ დროს საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში უდიდესი ყურადღება მიიპყრო ეინშტეინის თეორიამ „რელატივობის პრინციპის“ შესახებ.

მან მთელი გადატრიალება მოახდინა ბურჟუაზიულ მეცნიერებს შორის. „იდეალისტური ატმოსფერა იყო და არის რელატივობის თეორიის გარშემო. ცხადია, რომ ეინშტეინის მიერ გამოცხადებულ „საყოველთაო რელატივობას“ ბურჟუაზიული ინტელიგენცია სიხარულით შეხვდა. მეცნიერებისათვის ბურჟუაზიულ საზოგადოების ფარგლებში შეუძლებელია გამოეყოს ასეთი თეორიების გავლენას და ამან შექმნა ის მდგომარეობა, რომ რელატივობის პრინციპი ხელს უწყობდა მარტოოდენ რელიგიურ და მეტაფიზიკურ განწყობილებას“ (123 გვ.) როგორც ასეთს რელატივობის (შედარებითი) პრინციპს ვერ მიიღებს პროლეტარული იდეოლოგია. „უარვყოფთ რა ბუნებისმეტყველებაში ყოველივე ბურჟუაზიულს, ჩვენ უნდა დავამუშავოთ ჩვენი დიალექტიური მეთოდი და ვაქციოთ იგი ბუნებისმეტყველების დიალექტიურ მეთოდათ“ (იქვე) „თანამედროვე ფიზიკა მშობიარებაშია. იგი ბადებს დიალექტიურ მატერიალიზმს. მშობიარობა მძიმე ტკივილებით მიმდინარეობს“ (იქვე) ათავებს ავტორი წერილს ლენინის სიტყვებით.

გ. ხაჭაპურიძე თავის წერილში „პოლიტ-განათლების ორგანოების როლი პოლიტიკურ კამპანიის ჩატარებაში“ არკვევს პოლიტ განათლების სხვა და სხვა დაწესებულებათა მონაწილეობას ამა თუ იმ კამპანიის ჩატარებაში, აღნიშნავს ნაკლს წარსულ მუშაობაში და უჩვენებს გზებს მათ გამოსასწორებლათ.

ჟურნალში მოთავსებულია ამხ. მ. ტოროშელიძის წერილი „დავიწყება თუ გაყალბება? ამხ. მ. ორახელაშვილის წერილის შესახებ“ და შემდეგ ამხ. მ. ორახელაშვილის პასუხი. „გაგვახსენეთ და გაგვისწორეთ“. კამათი არის კოსმოპოლიტიზმის და ინტერნაციონალიზმის შესახებ.

ჟურნალში აგრეთვე ფართო ადგილი აქვს დათმობილი ბიბლიოგრაფიას.

კორექტურული შეცდომები, რომელსაც იშვიათად ასცდება რომელიმე გამოცემა ჩვენში, მეტად ამახინჯებს ჟურნალში მოთავსებულ ზოგიერთი მნიშვნელოვანი წერილების აზრს, ალაგ-ალაგ თარგმნებში ქართული ენაც მოიკოჭლებს; მაგრამ მიუხედავათ ამისა ჟურნალი იმდენათ საინტერესო და სერიოზულია, რომ მის მორიგ ნომრის გამოსვლა გულწრფელ სიხარულს გამოიწვევს მის მკითხველებში.

წინა ნომრებთან შედარებით ჟურნალის ეს ნომერი, რომელიც შეიცავს 157 გვერდს, ყოველ მხრივ უკეთ არის გამოცემული.

ვ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 88.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

გაუქმებულ სასამართლო დაწესებულებებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე წარმოებული საქმეების მოსპობის შესახებ.

რადგანაც უკვე საკმაო დრო გავიდა დღიდან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის 78 ნომრის დეკრეტის გამოცემისა ყოფილ სასამართლო დაწესებულებებში წარმოებული იმ ძველი საქმეების მოსპობის წესის შესახებ, რომელთაც უმეტესს შემთხვევაში უკვე დაჰკარგეს რეალური მნიშვნელობა, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გაუქმებულ სასამართლო დაწესებულებებში წარმოებული ყველა სამოქალაქო, აგრეთვე კერძო ბრალდების წესით აღძრული სისხლის სამართლის საქმე, რომელიც შეიძლება დამთავრდეს მხარეთა შერიგებით და რომლის განხილვის თანახმად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 1921 წლ ნოემბრის 9-ს თარიღით და 78 ნომრით გამოცემული დეკრეტისა, არ მოითხოვიათ მხარეებს ამა დადგენილების გამოქვეყნებამდე, —ჩაითვალოს მოსპობილად.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. გეგეჭკორი.

იუსტიციის სახალხო კომისარი ი. გარძიელი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. აპრილის 17.

ტფილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი შაბათს, 21 აპრილს, დილის სრულ 9 საათზე იწვევს ტფილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომების აღმრიცხავ-სტატისტიკურ განყოფილებების გამგეების თათბირს. დღის წესრიგშია ძლიერ მნიშვნელოვანი და გადაუდებელი საკითხები. სავალდებულოა დაუგვიანებლად გამოცხადება.

ტფილისის კომიტეტის აღმრიცხავ-სტატისტიკური განყოფილების გამგე: ვულფოვიჩი.

პროფესიული.

კვირას 22 აპრილს დილის 11 საათზე საქართველოს სასოფლო სამეურნეო საზოგადოების მორიგ კრებაზე (ბარიატინის ქ. 5) წაიკითხება მოხსენება საქართველოს მეაბრეშუმეობის ინსპექტორის ი. ქუთათელაძის შემდეგ საკითხზე.

მეაბრეშუმეობის მდგომარეობა საქართველოში და მისი ნაწარმოების მსოფლიო ბაზარზე გასაღების პირობები.

დასწრება ყველასათვის თავისუფალია.

— კვირას, აპრილის 22-ს. საღამოს 7 ნახევარ საათზე, ვაჟთა პირველი ტეხნიკუმის შენობაში (გუნიბის ქ. № 46) ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების მორიგ კრებაზე წაკითხული იქნება მოხსენებები 1. პროფ. ა. შანიძის მიერ: „დავით აღმაშენებლის მიერ შიო-მღვიმისათვის [illegible] დასაწყისი სიტყვები“ [illegible] მიერ: „[illegible]“.

დასწრება გარეშეთაც შეუძლიათ.

საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში.

კვირას, 22 აპრილს, დღის 12 საათზე ტფ. პოლიტეხნიკურ სასწავლებელში (ყოფილი დიდუბითავრის ქ., № 70) შესდგება ტეხნიკურ საზოგადოების კრება, რომელზედაც წაკითხული იქნება მოხსენება ინჟ. ბ. პიპინაძის მიერ შემდეგ თემაზე: „შვეციის სახელმწიფო წყალელექტრონული (ჰიდროელექტრონული) სადგურები“.

„განათლების მუშაკთა სახლში“.

— პარასკევს, 20 აპრილს, საღამოს 7 საათზე, ფიზიკო-მათემატიკური ქვე-სექცია აწყობს მერვე ტეხნიკუმში ბალაბუევის მოხსენებას შემდეგ თემაზე: ელექტრონი და მატერია თანამედროვე მეცნიერებაში.

პარასკევს 20 აპრილს საღამოს 7 საათზე ქართული ენის ქვე-სექციაში ამხ. გეფხაძის მოხსენება თემაზე: ფიზიკის კურსი შრომის სკოლაში სახლის გამგე შიუკაშვილის—კალუგენაია.

საქმეთამმართველი.

პარასკეობით, საღამოს 5 საათზე: მეცადინეობა ტეხნიკურ თანამშრომლებთან, რუსულ ენაზე მათემატიკის წარმოშობის კურსიდან.

განცხადებები

სახელმწიფო

ოპერა

დღეს, 20 აპრილს.

ვაზის მონაწილეობით

1. ჯამბაზები

2. აბესალომ და ეთერის მეორე მოქ.

შაბათს, 21 აპრილს,

ჰუგენოტები

კვირას, 22 აპრილს,

ბორის გოდუნოვი

დასაწყისი სრულ 8 საათზე.

კრ. 331—1—1

ამით ცხადდება ყველა დაწესებულებათა, ორგანიზაციებთა და კერძო პირთა საყურადღებოთ, რომ **ამ.-კავკასიის ს. ს. რეს. კავშირის რწმუნებულის სამმართველო**

იმყოფება

თავისუფლების მოედანზე

(ყოფ. ერევ. მოედ.) სასტუმრო „კავკაზში“ მე-3-ე სართული.

საერთო განყოფილების უფროსი ბირონი.

კრ. 335—1—1

კოოპერატივ „დახმარებას“

გამგეობა იწვევს წევრთა საგანგებო კრებას სამეურნეო ბანკის დარბაზში (სასახლის ქ. № 6) შაბათს 21 აპრილს, 1923 წ. საღამოს 5 საათზე, დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავათ, მეორე კრება გაიხსნება 6 საათზე და იქნება კანონიერი.

559—1—1 გამგეობა.

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი [illegible]

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.

საავადმყოფო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (501—25—11)

დაიკარგა აბიაშ ტულიანცის სახელზე გაცემული პასპორტი. ჩაითვალოს გაუქმებულად. 560—1—1

დაიკარგა მსტო-მახო ოღლის სახელზე ქალაქის საბჭოს მიერ გაცემული პასპორტი № 841. ჩაითვალოს გაუქმებულად. 558—1—1

დაიკარგა სტუდენტობის მოწმობა № 308, მოცემული ქართულ მუშათა ფაკულტეტიდან სერგო ერმალოს ძე ბააკაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 549—1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა ხეთის თემის და ზუგდიდის მაზრის მიერ მოცემული პალადი დავითის ძე კობახიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 545—1—1

დაიკარგა გივორქ ბაშევის სახელზე კონსტანტინოპოლის საქართველოს საელჩოს მიერ გაცემული პასპორტი. ჩაითვალოს გაუქმებულად. 583—1—1

დაიკარგა მატრიონა პეტროსიანის სახელზე გაცემული სარეგისტრაციო ბარათი და პასპორტი. ჩაითვალოს გაუქმებულად. 552

დაიკარგა ბიქტორ ვასილის ძე გუჩაიძის სახელზე პირადობის მოწმობა № 2554 და სამხედრო სამსახურის ნუსხა № 468. ჩაითვალოს გაუქმებულად. 555—1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა, გაცემული 2 მარტს, თემი ზომლეთის აღმასკომის მიერ № 171, შერმანდი სოფრომის ძე წულაძე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 554—1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა სოფ. რაჭმელის მიერ მოცემული დომენტი ჭელიძე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 557—1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მოცემული ირაკლი კანდელაკი. ჩაითვალოს გაუქმებულად. 556—1—1

დაიკარგა ივანე იორდანიშვილის სახელზე გაცემული კომუნ. ახალ. კავშირის ტფილისის კომიტეტის საწევრო წიგნაკი ჩაითვალოს გაუქმებულათ. (547—1—1)

დაიკარგა ალექსანდრა სალტიკოვის სახელზე ნოვო ჩერკასკის მილიციის მიერ გაცემული პასპორტი № 3399 | 2635 ჩაითვალოს გაუქმებულათ. (551—1—1)

დაიკარგა მატრონა გაბრიელოვის სახელზე ნოვო ჩერკასკის მილიციის მიერ გაცემული პასპორტი № 604 | 1144. ჩაითვალოს გაუქმებულათ. (550—1—1)

დაიკარგა ლევან ნიორაძის სახელზე ტფილისის სახელ. უნივ. ეკონომიურ ფაკულტეტის სასწავლელი წიგნაკი, ჩაითვალოს გაუქმებულათ. (548—1—1)

დაიკარგა ივანე ლევანის ძე ხატიევის სახელზე ტფილისის მილიციის მიერ გაცემული სარეგისტრაციო ქვითარი და პასპორტი № 24127. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 546—1—1)